



გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtrediismacne@gmail.com

მაცნე

სამცხე-მთიანეთის

№2 (9366)

31 იანვარი, 2022 წელი

ფასი 75 თეთრი

2

**რამდენი მოხდებოდა ჰყავდა
მათ ქედუნს?**

“სახლი თანადგომას” ბიუჯეტი
27 000 ლარით გაიზარდა

2



3

**ყველაფერი
უღებზეა
დამოკიდებული**

**ჩიხაძის სახალხო
საქმიანობის
საქმიანობის
ჩიხაძის**

3



**“რა ჩემი ჭკუნის საჭეა ნება, მაგულო ჩემო,
გიჭირს თუ გიღვინს”**

5

“საქართველოში წინა ჩამოვდა, აუცილებლად გესტუმრებით”

6



**ერტყუთუქცუქი
ცუქნლლღიუქის
გამტყუნებით**

2

**ცხადად თუ მექარუით, თეატრი თავის
სათქმელს ყოველთუის ამბობდა**

8



რადიანი მოზღვილე ჰყავს მათ ქალუნს?

თეა ბაბუნაშვილი

სანამ ამ "ამოცანას" ამოვხსნიდეთ, იმაზე, თუ რა საკითხები განხილავდა მუნიციპალიტეტის საკრებულომ ბოლო სხდომაზე, რომელიც მიმდინარე წლის 21 იანვარს გაიმართა. განსახილველი ცამეტევე საკითხი კოლეგებს იურიდიული და სამხანდატო კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძემ წარუდგინა.

რადგან ახალი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას, ძალადაკარგულად გამოცხადდა წინა საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შესაბამისი დებულებები. მათ მაგიერ საკრებულომ ხუთივე მუდმივმოქმედი კომისიის დებულება თავიდან მიიღო. გარდა ამისა, განისაზღვრა საკრებულოს წევრების მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და დადგინდა მათი ზღვრული ოდენობა. თუმცა, ამაში არ იგულისხმება საკრებულოს ის წევრები, რომლებსაც

გარკვეული თანამდებობი უკავიათ. იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძემ ერთ-ერთი საკითხის განხილვისას აღნიშნა: "ექსპერტიზას ვუტარებთ ჩვენს მიერ მიღებულ დადგენილებებსა და განკარგულებებს. გვაქვს მითითება, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ჩაერთონ კომისიების მუშაობაში. რეგლამენტით განსაზღვრულია, რომ არაუმეტეს ორისა და არანაკლებ ერთი კომისიისა, უნდა იყონ ჩართული. ამის გათვალისწინებით, თითოეული მოადგილე ორ-ორი კომისიის მუშაობაში ჩაერთვება."

მოადგილეების რაოდენობა საკრებულოს ამ სხდომაზე უწყინარი შელაპარაკების საფუძველი გახლდათ პოზიცია-ოპოზიციის შორის. როგორც აღმოჩნდა, ახლად არჩეული საკრებულოს პირველივე სიხლე, უხეშოადგილიანობა, თავად უმრავლესობის წარმომადგენლებისთვისაც დიმილიანი თემაა. ოპოზიციონერი ავთანდილ თაღუმაძის რეპლიკას "მათ ქალუნს არ

ჰყავდა ამდენი მოადგილე", "ეს ჩვენთვისაც გასაკვირია" შეაგება უმრავლესობამ. მათ ქალუნის მოადგილეების რაოდენობისა რა გითხრათ, ამოცანა, რომლითაც დავიწყეთ, უპასუხოდ დაგვრჩა, მაგრამ, გარდა იმისა, რომ მეხუთე მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარეს სამი მოადგილე ჰყავს, საკრებულოს ორი ფრაქციიდან, 24 წევრიანი ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარეს 7, ხოლო 6 წევრიანი ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარეს, 2 მოადგილე რომ ჰყავს, ეს ფაქტია. დაახლოებით ისეა, ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩა, თორემ მივეყვებოდით!

რა სარგებლობას მოუტანს საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეზე მეტი მოადგილე, ბევრი არ დააგვიანდება, ჯერ ისევ მისი მუშაობის პროცესში გაირკვევა. ერთი სიტყვით, პრასი არ გვინდა, გვაქვს! და კიდევ, მოადგილეები გვეყავს!



“სახლი თანადგომას” ბიუჯეტი 27 000 ლარით ბაიზარდა

ახალი, 2022 წლიდან ააიპ "სახლი თანადგომა" უფასო სასაღილოში 130 ბენეფიციარს პირველად 17 იანვარს გაუმასპინძლდა. როგორც ადგილობრივი ხელმძღვანელობა ამბობს, სამტრედიელ სოციალურად დაუცველებს მრავალფეროვანი მენიუ წელსაც შეუწარმუნდათ. უფრო მეტიც, "სახლი თანადგომას" დირექტორის განმარტებით, პროდუქტებზე ნორმები დაემატა. ასევე სთავაზობენ ახალ კერძებს, მაგალითად, აქამდე თუ არ იყო ბრინჯის ფლავი, არაქანი, 2022 წლიდან უფასო სასაღილოში ბენეფიციარს ეს ახალი პროდუქტებიც დახვდებათ. გაორმაგდა ქათმის ჩახოხბილისთვის ხორცის ნორმა, ასევე – კატლეტის ნორმა. "რაც შეეხება 17 იანვრიდან სასაღილოს ფუნქციონირებას, პირველი იანვრიდან 10 იანვრამდე პრემიერის ბრძანების თანახმად ქვეყანაში ლოკალური იყო გამოცხადებული, უფასო სასაღილოს თანამშრომლები და სოცმუშაკები ისვენებდნენ. რაც შეეხება ტენდერს, დაბალი ფასების გამო მონაწილეობის მიღების სურვილი მომწოდებლებს არ გაუჩნდათ. ამიტომ დეკემბრის ბოლოს გამოცხადებული ტენდერი არ შედგა, რის გამოც შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით გადაუდებელი აუცილებლობით პროდუქტის შექმნაზე ერთ პირთან მოლაპარაკებით მოვახერხეთ სასაღილოს ფუნქციონირება, როგორც სადილით 130 კაცზე, ასევე 300 კაცამდე პურის გაცემით.



ლოკალურის დროს მოვახერხეთ ადმინისტრაციის შენობიდან ბენეფიციარებისთვის გასაცემი პურის ოთახი უფასო სასაღილოს შენობაში გადაგვეტანა იმ პირობით, ერთად, რომელიც პასუხისმგებელი იყვნენ პურის მიღებასა და გაცემაში. პარალელურად გავაფრთხილეთ ყველა ბენეფიციარი, სად უნდა მისულიყვნენ პურის ასაღებად. ბევრმა უკმაყოფილება გამოთქვა ე. წ. პურის ოთახის უფასო სასაღილოში გადატანაზე, მაგრამ ამ საკითხის დადებითად მოგვარება მოვახერხეთ. პანდემიასთან დაკავშირებით ჩვენი ბენეფიციარები სასაღილოში არ სადილობენ. თავიანთი კუთვნილი საკვები მიაქვთ სახლებში. რომლებსაც მოსვლა არ შეუძლიათ, მათ სახლში მიტანილი ემსახურებიან სოცმუშაკები, როგორც სადილით, ასევე პურით.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და "სახლი თანადგომას" გვერდში დგომისთვის მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ნუგზარ ჯამბურასა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს, რომლებიც არასოდეს იშურებენ ჩვენი ბენეფიციარებისთვის დახმარებას.

განსაკუთრებულად და თითქმის ყოველდღიურად სამტრედიელი ბენეფიციარების მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდა და იჩენს მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი დავით ბახტაძე, რომლის ხელი ამ მოკლე დროში დაეტყო ჩვენს სამტრედიას.

"სამტრედიის მაცნეს" მკითხველს პერიოდულად მივაწვდით პროგრამების განხორციელების შესახებ ინფორმაციებს". – განაცხადა "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში "სახლი თანადგომას" დირექტორმა, მხევიანარ ბოხუამ.

ცნობისთვის, 2021 წლის "სახლი თანადგომას" ბიუჯეტი 173 300 ლარი იყო. აქედან კვებაზე 73 339 ლარი დაიხარჯა.

2022 წლის ბიუჯეტს 27 000 ლარი დაემატა. კონკრეტულად კვების დაფინანსება გახდა 100 340 ლარი. "სახლი თანადგომას" საერთო ბიუჯეტმა მიმდინარე წელს 206 400 ლარი შეადგინა.

6060 ნანიტაშვილი

ენიგტოფიციური ციფრული გამტარებით

6060 ნანიტაშვილი

ამ დღეებში სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. ონლაინ პლატფორმის საშუალებით, დღის წესრიგის გათვალისწინებით, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ პროექტებსა და იდეებზე იმსჯელეს. იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე შპია გიორგობიანთან ერთად დეტალურად განიხილა ხარაგაულის მიერ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული პროექტი, ასევე იმსჯელეს ტყეების, სამტრედიისა და ვანის მიერ წარმოდგენილ 6 იდეაზე.

ვეროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხარაგაულში იგეგმება სოფელ მიროწმინდაში ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. პროექტის მიზანია ბუნების და მეტეოლოგიის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება. გავრცელებული, თუმცა დაუსუსტებული, ინფორმაციით სოფელ მიროწმინდაში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი მე-9 საუკუნით თარიღდება.

რაც შეეხება იდეებს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ ურბანული განახლების მიზნით ყურადღება გაამახვილა ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტაციაზე და აუთვისებელ, ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ასევე იმსჯელა რეკრეაციული და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობაზე.


ტყეების მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი გელათის ქუჩაზე გზის საფალი ნაწილისა და არსებული შენობების, ასევე რუსთაველის ქუჩაზე მრავალსართულიანი შენობების რეაბილიტაცია.

ონლაინ შეხვედრაზე იდეა წარადგინა ვანის მუნიციპალიტეტის მერმა, რომელიც ითვალისწინებს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფელ გადიდში ტურისტული ინფრასტრუქტურისა და საავტომობილო გზის მოწყობას.

საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა სხდომაზე წარმოდგენილი ერთი პროექტი და ექვსი იდეა მოიწონეს. ონლაინ პლატფორმის საშუალებით გამართულ შეხვედრას გუბერნატორის მოადგილეები ბესიკ გოფოძე, ლევან კიკნაველიძე, მუნიციპალიტეტის მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები ესწრებოდნენ.

იმერეთში ამ მიმართულებით 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 69 656 927 ლარია გამოყოფილი.

დავით ბახტაძე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი: "საქართველოში რეგიონების ინტეგრირებული განვითარების საპილოტე პროგრამა წარმოდგენს სახელმწიფო პროგრამას, რომელიც ემყარება ევროკავშირის რეგიონული განვითარების პოლიტიკას. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს დაბალანსებულ და მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ტერიტორიული განვითარების ინტეგრირებული ინიციატივების განხორციელების გზით. საპილოტე პროგრამა სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვისაც მნიშვნელოვანია სასიკეთო ძვრების განსახორციელებლად".



ყველაფერი უელახა დაოკიდებული

თეა ბაბუნაშვილი

დიდი ჯიხაიშის აგრარული კოლეჯი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე პროფესიული სასწავლებლის ეგიდით რომ დაიბრუნებს საკუთარ ფუნქციას და კვლავ განათლების ინდუსტრიულ კერად იქცევა, არაერთხელ ვაჭნობეთ მკითხველს. რეგულარულად ვაწვდით ინფორმაციას დიდ ჯიხაიშში მიმდინარე გრანდიოზულ მშენებლობაზეც, კოლეჯის შენობის სრულ რეაბილიტაციას რომ გულისხმობს. თუმცა, სამუშაოები, რომლებიც 6 მილიონ ლარზე მეტი მოცულობისაა, გარკვეული მიზეზების გამო შეფერხდა. როგორც გაირკვა, ყველა ეს მიზეზი, ძირითადად, პანდემიით გახლდათ გამოწვეული. სამუშაოები კვლავ განახლდა. რამდენიმე დღის წინ მიმდინარე პროცესი მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ მონიხსულა და სამუშაოთა მწარმოებელს გაესაუბრა.

მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, ქვეყნის ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები პროექტს უწყრადღებოდ არ ტოვებენ. ყურადღება მშენებლებს არც ადგილობრივი ხელისუფლებისგან მოკლებიან და ეს ასეა სამუშაოების დაწყებიდან დღემდე.

ზამთრის სუსხის მიუხედავად, მშენებლები გრაფიკით გათვლილ სამუშაოს მაინც ასრულებდნენ. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივებთან ერთად აქ თურქი მოქალაქეებიც არიან დაკავებული. “ძირითადი ვადები, როცა განსაზღვრული გახლდათ სასწავლებლის ექსპლოატაციაში შესვლა, შეიცვალა. მიზეზად მაინც პანდემია სახელდება. ამაზე სერიოზული მსჯელობა იყო. მიუხედავად ყველაფრისა, არ გახლავთ სასიამოვნო ამ ვადების დარღვევა. ამჯერად მტკიცედ არის გადაწყვეტილი, რომ კოლეჯი ახალი სასწავლო წლისთვის ექსპლოატაციაში უნდა შევიდეს და სტუდენტების პირველი ნაკადი უნდა მიიღოს. მინდა მჯეროდეს, რომ ყველა, ვინც ჩართულია სასწავლებლის რეაბილიტაციაში, სწორ დასკვნებს გააკეთებს

და პროექტი დასრულდება ამ დრომდე. 6 მილიონ 700 ათასი ლარით ფინანსდება, საკმაოდ მასშტაბური პროექტი გახლავთ. ეს რაც შეეხება სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ მხარეს. გარდა ამისა, უდიდესი ინდუსტრიული სასწავლო ცენტრი, აქ რომ უნდა მოეწყოს, უახლესი ტექნიკითა და ლაბორატორიებით იქნება აღჭურვილი. სასწავლო პროცესი ევროპულ დონეზე წარმართება. აქედან 4 პროგრამის შესწავლა გახლდათ განსაზღვრული კოლეჯში. ამჯერად ჩაფიქრებულია კიდევ 15 სასწავლო პროგრამის დამატება. დანარჩენი ყველაფერი შედეგზეა დამოკიდებული, ვფიქრობთ შედეგი ჩვენთვის სასურველი იქნება.” – ამბობს აგრარული პროფესიული კოლეჯის დირექტორის მოადგილე ნუგზარ მიქაძე.

“სახურავეი შეიცვალა, კედლები გაშიშვლდა, მიდის სამდებრო და სამადიარო სამუშაოები. შეფერხება სამუშაო პროცესში პანდემიამ გამოიწვია. ერთი მუშა დაგვედგა კიდევ. გაზაფხულზე კიდევ უფრო სწრაფი ტემპით ვიმუშავებთ. ჩაბარების ვადა მნიშვნელოვნად არაა, მაგრამ ცოტა გადავიწვეს იმ ობიექტური მიზეზების გამო, რაზეც ვისაუბრეთ.” – სამუშაოების შეფერხების მიზეზებზე საუბრობს “სამშენებლო კომპანია №1”-ის სამუშაოთა მწარმოებელი ზურაბ ლეკვეიშვილი.

მუნიციპალიტეტის მერი სამუშაოთა მწარმოებელსა და მუშებს

საჭიროების შემთხვევაში დახმარებას დაჰპირდა, მედიასთან კი აღნიშნა: “განათლების ხარისხის განვითარება, პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყნის განვითარებასთან. უკვე მეორე წელია, ნიკო ნიკოლაძის დაარსებულ აგრარულ კოლეჯში, რომელიც, მოგეხსენებათ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა, მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს. მათ განათლების სამინისტრო სახელმწიფოს დაფინანსებით ახორციელებს და პროექტის დასრულების შემდეგ იგი ერთ-ერთი სანიმუშო ობიექტი იქნება ახალგაზრდების განათლებისა და თანამედროვე ბაზარზე ფეხის აწეობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, სასიამოვნოა, რომ ამ სასწავლო კერაზე არსებული ძველი სახელოვანი ტრადიციები კვლავ აღდგება.”

სამუშაოები დიდი ჯიხაიშის აგრარული კოლეჯის სრული რეაბილიტაციისთვის განახლდა. როგორც მშენებლები ვარაუდობენ, თუ გარე ფაქტორებმა არაა, მათ მიმდინარეობას ხელს აღარაფერი შეუშლის. როგორც განსაზღვრულია, პროფესიის დაუფლების მსურველთ პირველი ნაკადი პროფესიულმა კოლეჯმა მომავალ სასწავლო წელს უნდა მიიღოს. სასწავლებლის დირექტორის მოადგილისა არ იყოს, მთავარი შედეგია! შედეგი, როგორც მშენებლები გვპირდებიან, ვადების ოდნავ გადაწვეით, მაგრამ მაინც დროულად დაიდება.



ჩქაროსნული სახანოების საერთაშორისო კავშირები

ლევან ბაბუნაშვილი



სამტრედიელ სპორტსმენთა წარმატებებით, დიხაც რომ, განებივრებულები ვართ. კოლოსალური შრომა, ენერჯია ამ ყველაფრის მიღმა. თავს არ ზოგავენ მწვრთნლები, სპორტსმენები პრესტიჟული ჯილდოები, ტიტულები რომ დაიმსახურონ.

ადგილობრივი ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს მათ თანადგომას, როგორც მორალურად, ისე ფინანსურად.

მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ვაჟა სტურუამ, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, ზურაბ გოგიამ, საკრებულოს წევრებთან ერთად ძიუდოს სპორტულ დარბაზში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. აღმასრულებელი ხელისუფლების თავკაცი დეტალურად გაეცნო ვითარებას, ესაუბრა მშენებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებს და მათ თანადგომა აღუთქვა, შედეგად კი სამტრედიას ყოველმხრივ გამართული კიდევ ერთი დარბაზი ექნება.

ასამდე ბავშვი ვარჯიშობს ამ დარბაზში, მისასალმებელია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მხარში გვიდგას და მალე განახლებულ დარბაზში მოგვიწვეს ვარჯიშში და მუშაობა. – სამადლობელი არ დაიშურეს “სამტრედიის მაცნესთან” საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა, ავთანდილ თარგამაძემ და ვეფხია სტურუამ.

შესაბამისი მითითებები ვასცა დავით ბახტაძემ სარეაბილიტაციო ობიექტზე და მომავალი წარმატებების, თანადგომის სურვილით დაემშვიდობა იქ მეოფთ.



საქართველოს ჰრეზიდენტი, ქვლბეტონ სჯლომე ზურბიშვილი! “ეკიე ზურბი”

ქალბატონო სჯლომე, მოვისმინეთ თქვენი მოწოდება ეროვნული თანხმობის თაობაზე, რაც უდგოდ მისსახლმებელია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფო მაშინ შეისხამს ხორცს სრულად, თუ გააცნობიერებს და სწორად შეაფასებს საყოველთაო კეთილდღეობას. პოლიტიკამ შეიძლება ივარგოს იმ შემთხვევაში, თუ მიზანს საფუძვლად დაედება სამართლიანობის, სიკეთის, სულიერების პრინციპები.

მსოფლიოში ცნობილი ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი, დრამატურგი, დისიდენტი, ადამიანის უფლებების დამცველი, ევროპაში ზნობრივი პოლიტიკის სახე ვაცლავ ჰაველი ბრძანებდა: “ნამდვილი პოლიტიკა არის ერთადერთი, რასაც მზად ვარ მთელი ძალები შევწირო. იგი მოძმეთა ჩვეულებრივ სამსახურში, საზოგადოების სამსახურში და იმთა სამსახურში მდგომარეობს, ვინც ჩვენ შემდეგ იცხოვრებს, ასეთი პოლიტიკა ზნობრივია, ვინაიდან მასში ხორციელდება საყოველთაო ურთიერთპასუხისმგებლობა”.

მთავარი ზნობაა!
ყველა ადამიანი თავისი მისიით მოდის თავისი საკეთებელი საქმისთვის, თუ ჭეშმარიტად იმ საქმეს ეძლევი, რომელიც შენი ხატარებელი ჯვარია, საქმენი შენი გამოგაჩენს და შენს შემდგომ მო-

სულ თანამოაზრეებს სავალ გზას გაუადვილებს.

ეფიქრობთ, კარგი იქნება, თუ პრეზიდენტი რეზიდენციაში მოიწვევთ, ერისკაცებს, უბრალო ადამიანებს, რადგან “წესიერი ადამიანი ყოველთვის უბრალოა” (ალერიუსი). ყურს მიუგდებთ ხალხის ხმას. ასევე სასურველია, პრეზიდენტის რეზიდენციაში თუ ვიხილავთ მეცნიერებს, დედაუნივერსიტეტის ყოფილ რექტორს, ისტორიკოსს, აკადემიკოსს, ბატონ როინ მეტრეველს, საქართველოს ყოფილ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, პროფესორს, ეკონომისტს, ბატონ ნოდარ ჭითანავას; ყოფილ პრემიერ-მინისტრს, მეცენატს, ქველმოქმედს – ბატონ ბიძინა ივანიშვილს; უძველესი გაზეთის “საქართველოს რესპუბლიკის” მთავარ რედაქტორს, ბატონ სპარტაკ კობულაძეს; ჩვენი ქვეყნის, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სასიქადულო მთავარ რეჟისორს – ბატონ რობერტ სტურუას, სხვა კულტურის დამსახურებულ, დედადამსხდ მუშაკს, რადგან ჩვენი თვითმყოფადობა ხომ კულტურაზეა დაფუძნებული. სწორედ ამას ბრძანებს ჩვენი სახალხო მწერალი, კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია “ცნობილია, არც ერთ ერს არაფერი შეუქმნია მნიშვნელოვანი, თუ მას ოდესმე დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის მეურვედ არ უცვნია თავი.

ამის გარეშე ყოველივე ეპიგონობა და მსოფლიო პროვინციის უნიათო ლუღლუღი”.

30 წელია დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ვირჩევთ “რჩეულებს”. პრობლემები უცვლელი რჩება, დაპირისპირების ნიაღვარმა წალეკა დადებითი, თავს დავსტრიალებთ ერთს და იმავეს, დომინირებს სიძულვილის ენა, რაც ანგრევს სახელმწიფოს თვითმყოფადობას. ერს ოდითგანვე სტანჯავს კითხვა: “ვიარსებებთ თუ არ ვიარსებებთ?” “დამანებებენ არსებობას, თუ არ დამანებებენ უფრო მრავალრიცხოვანი ერნი ამა ქვეყნისანი?” და თუ რადიკალურად არ შეიცვალა სასიკეთოდ ვითარება, ყველა ერთად ჩავიძირებით.

ქალბატონო სჯლომე საფრანგეთში დაბადებულს, გაზრდილს და მოღვაწეს, მოგესხენებათ “ხალხს რომ ეჭვი არ შეპარვოდა მათ მიერ მიღებული სამარცხვინო კანონპროექტების მიუკერძოებლობაში, საფრანგეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატებმა, ერთხმად დაადგინეს, არც ერთი ჩვენგანი არ შეიძლება არეული იქნას ახალ საკანონმდებლო ორგანოში”.

ხალხი – საზოგადოება მოელის სასიკეთო ფერისცვალებას და ისევე დიდი ილია, რომელიც ბრძანებდა: “...მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...”



ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვად მყოლობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...“
ილია ჭავჭავაძე მოგვიწოდებს, ხალხი “მომავლისათვის ბედთანა ბრძოდეს”.

იმედების ასრულება დაგვბედებოდეს, დამდეგ ახალ წელს გილოცავთ საუკეთესო სურვილებით!
პატივისცემილი
ბია გოჭორიშვილი
სახობალოშა
“სამტრედილის”
დამფუძნებელი

რასობ არ ინსერკუსდებრიან?

სუ ლკესკუვი ბუკ კბა...

თავის დროზე ჩვენს გაზეთში არაერთი წერილი გამოქვეყნდა საქართველოში მეაბრეშუმეობის წარმომავლობის თაობაზე: გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” მთავარი რედაქტორის ქალბატონ ქეთევან ჭელიძის ინტერვიუ ყოფილ სამტრედიის რაიბრეშუმის ხელმძღვანელთან, ქალბატონ გოგოლა ნაცვლიშვილთან, ასევე სტატია სამტრედიის კოლორიტის, საზოგადოება “სამტრედიელის” დამფუძნებლის, ბატონ თამაზ უორდანიას წამოწეებასთან დაკავშირებით, სურვილი სამტრედიის მეაბრეშუმეობის განახლებისა და განვითარების შესახებ.

საქართველოში როგორც ისტორიულადაა ცნობილი მეაბრეშუმეობის განვითარების დიდი გზა ჩინეთიდან იწყება, სადაც მეაბრეშუმეობა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3000 წლის წინ არსებობდა. საქართველოში ის ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნეში ჩნდება. მისი შემოტანა ვახტანგ გორგასალს უკავშირდება.

სპარსეთის მეფესთან ერთად ინდოეთში სალაშქროდ წასულმა მეფემ აბრეშუმის გრენი ჩამოიტანა, რომელიც მთელ საქართველოში გავრცელდა. ქართველები საუკუნეების მანძილზე მისდევდნენ აბრეშუმის წარმოებას. ნიშანდობლივია, რომ თუთის ხის ერთ-ერთ სამშობლოდ საქართველოც ითვლება. სამტრედიის მრეწველობის განვითარებას სმეაბრეშუმეობამ დაუდო სათავე. 1900 წელს დიდ ჯიხაიშსა და დანირში დადგეს პარკის გამოსახარში ორთქლის ქვაბები და საქსოვი დაზგები, ამავე წელს არუნიანცმა დაბა სამტრედიის ააშენა ნედლი პარკის საშრობი.

XX საუკუნის დასაწყისში სამტრედიის ყველაზე დიდი მსუბუქი მრეწველობის საწარმო იყო აბრეშუმის ძაფსახვევსაგრეხი ფაბრიკა, რომელიც 1902 წელს ამუშავდა. მისთვის დაზგა-დანადგარები საზღვარგარეთიდან, უმთავრესად, იტალიიდან გამოიწერეს. იტალიიდან ჩამოსული ოსტატი ქალების

ხელმძღვანელობით აქ 250 ქალი მუშაობდა. ამგვარად, დაბა სამტრედია თანდათანობით ვითარდებოდა. ვახისუბანში 100 ჰექტარზე იყო გაშენებული თუთის პლანტაცია. სახელმწიფო გლეხებს საკარმიდამო ნაკვეთების ახლოს თუთის ხეების დასარგავად მიწებს უყოფდა, თუთის ხის ფოთოლი ხომ ერთადერთი საკვებია აბრეშუმის ჭიისათვის. მსურველი ბევრი იყო, რომ აბრეშუმის ჭია დაესვა და ოჯახს სარგებელი მიეღო. სამტრედიაში იმუამად 300 ტონა პარკი მზადდებოდა. პარკს სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკაში აბარებდნენ, სადაც ძაფს ართავდნენ, ასე რომ, გლეხი და მუშებიც დასაქმებულები იყვნენ. აბრეშუმში აღებული თანხით შეეძლოთ ოჯახები ერჩინათ. დღეს არსებული მასობრივი უმუშევრობის პირობებში მეაბრეშუმეობის განვითარება საკმაოდ ხელსაყრელი იქნება. ხალხს ძალიან წაადგება ამ უძველესი კულტურის არდგენა, რადგან მეაბრეშუმეობა შემო-

სავლიანი დარგია. პირველ რიგში უნდა გაშენდეს თუთის პლანტაციები, რომლის ფოთლის მსხმოიარობა სამ წელიწადში მიიღწევა აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად. ხოლო მიღებული პარკის გადამამუშავება (ძაფის დართვა), ამ ტექნოლოგიური ციკლის სრულად გამართვას, მაქსიმუმ, 4 წელი დასჭირდება, თუ სახელმწიფოს კეთილი ნება იქნება.

საქართველოში აბრეშუმის წარმოება საუკუნოვან ისტორიას ითვლის, ოფიციალურად ცნობილია, რომ XIX საუკუნეში საქართველოში – 6000 ტონა აბრეშუმის პარკს ამზადებდნენ. საქართველო 60-იან წლებში აბრეშუმის ხარისხით მოწინავე ადგილზე იყო. სწორედ ამ პერიოდში 4500 ტონა აბრეშუმის პარკი მზადდებოდა 5 მილიონი მეტრი ქსოვილი ექსპორტზე გადიოდა. ქართული აბრეშუმის ძირითად საექსპორტო არეალს ევროპა წარმოადგენდა, ასევე საექსპორტო ქვეყნების ჩამონათვალში შედიოდა რუსეთი და თურქეთი. ქართული

აბრეშუმში მსოფლიოში რომ აღიარებული იყო, ამას მიუთითებს უახლოესი წარსულიც, 1998 წელს მადრიდში მიღებულ ევროპის ხარისხის კომისიის მიერ “პლატინის ვარსკვლავი”, რომელიც ქართული “მზიურის” ჯიშის აბრეშუმის ძაფისაგან დამზადებულ ქსოვილს მიანიჭეს. საუკუნეების წინათ არსებული აბრეშუმის წარმოების კუსტარული დანადგარები, საქართველოს აბრეშუმის მუზეუმშიც არის შემონახული.

წარსულში მეაბრეშუმეობა სოფლებში მატერიალური კეთილდღეობის წყარო იყო.

დღეს როდესაც მთავრობის მიერ გამოცხადებულია ქვეყნის განვითარების 10-წლიანი პროგრამა, კარგი იქნება, მეაბრეშუმეობის აღორძინების საკითხს სახელმწიფო პრიორიტეტად თუ მიიჩნევს, ამ საქმის გამართვას და ხალხის სამსახურში ჩაყენებას მხოლოდ 4 წელი დასჭირდება.

ბია გოჭორიშვილი

“რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა, მაგულო ჩემო, გიჭირს თუ გილხინს”

ლევან ბაბუჩავა

ახალი წელიც ვიზეიმოთ ეს-
ესაა და დიდთოვლობამაც
დაგვამახსოვრა თავი. თეთრზე
შავი კარვად ჩანს და ამ
თოვლშიც არნახულად
აირეკლა ჩვენი შუქ-ჩრდილები,
პოზიტიური და დადებითი.
ახლაც თოვს ამ წერილს რომ
ეწერ, რედაქციის შეჭირხლული
ფანჯრები ნელ-ნელა თბება და
სადურდელიც ამეშალა.

ისევ ვწერ ამჯერად, როგორც
ვეყვით.

მინისტრებისა და პრემიერ-
მინისტრების მალიმალ
შეცვლას მიხეულებს მაინც
გაგვიკვირდა წელიწადში
ორჯერ რომ შეიცვალა
პარლამენტის თავმჯდომარე. ამ
მხრივ ვასულმა წელმა
ნამდვილი რეკორდი მოხსნა,
შეიცვალა მმართველი პარტიის
პირველი პირი, პრემიერი,
ორჯერ პარლამენტის
თავმჯდომარე, არაფერს
გამბობთ მინისტრებს.

საოცარია ერთი რამ, მთელ რიგ,
უმეტეს თუ არა შემთხვევაში უკვე
ყოფილები ისევ მმართველ გუნდში
რჩებიან პარტიულ-პოლიტიკურ თან-
ამდებობებზე, ეს კი ეჭვშეუვლად
მეტყველებს იმაზე, რომ კონკრეტულ-
მა პერსონამ თავი ვერ გაართვა
კონკრეტულ თანამდებობას და იძუ-
ლებული გახდა, ან გახადეს, უარი
ეთქვა დაკავებულ ადგილზე. სულაც
არაა გამორიცხული, სტრატეგიულმა
პარტნიორებმა რომ მიგვიითონ
ამაზე.

მაღალი თანამდებობის პირთა, ანუ
კადრების შერჩევის საკითხში ხე-
ლისუფლებას რომ უჭირს, ცხადია.
არცთუ შორეულ წარსულში აგრარულ
ლი ქვეყნის აგრარისკოსთა მინისტრი
“მამალ ძროხებზე” საუბრობდა და-
ბეჯითებით, ქვეყნის ყოფილი პირვე-
ლი პოლიციელი, ანუ ყოფილი შინა-
გან საქმეთა მინისტრი “აქაიდას”
როგორც პიროვნებას ისე განიხილაფ-
და.

პირველი განმანათლებელი, ანუ
განათლების ყოფილი მინისტრი კი
უწყინარ ნაცარქექიას მოძალადედ,
ბოროტ ღვეს ძალადობის მსხვერპ-
ლად აღიქვამდა და ეს ყველაფერი
სინამდვილეში მოხდა...

ქვეყანაში რომ პოზიტიური ძვრე-
ბი შეინიშნება, მისასაღებელია. ჯერ
ლევანის (საფრანგეთი) მამული გად-
მოეცა საქართველოს მხარეს,
ამჯერად კი მდინარე იორდანის
სანაპიროსთან, იქ სადაც მაცხოვარი
მონათლეს, საქართველოს იორდანი-
ის მეფის, აბდულა მეორის, თანხმობ-
ით მიწის ნაკვეთი გადმოეცა, ამის
შესახებ პრემიერმა ნათლისღების
დღეს განაცხადა და მადლობა უძღვნა
მის უწმინდესობას, საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქს, იორდანიაში
საქართველოს ელჩს, ზახა კანდელაკს,
ყველა მონაწილე პირს. უდავოდ მის-
ასაღებელია, ყოველივე კიდევ მეტად
შეუწყობს ხელს ქართული კულტურის
და ჩვენი იდენტობის საერთა-
შორისო ასპარეზზე გასვლას, ქვეყ-
ნის მეტ ცნობადობას.

მისასაღებელია, მთავრობის
დაინტერესება ქვეყანაში მედიკამენ-
ტებზე არსებული ფასების დარეგუ-
ლირებისკენ რომაა მიმართული.

სხვა სიტყვებს ვერ ვპოულობ, არ
ეუხერხულდებათ, ახლა რომ ამბობენ,
თურქეთში სუთჯერ, ათჯერ უფრო
იაფი რომ ყოფილა მედიკამენტები,
ვიდრე გადატაკებულ საქართველო-
ში?

სამადლოდ და სავალოდღად
მოქცეული ხალხის ფულით ნაგროვე-
ბი შეერგება ვინმეს? სად იყენენ
ფასების მაკონტროლებელ-მარეგუ-
ლირებლები?

თვალსაჩინოა ქართველ სპორტს-
მენტა წარმატებები როგორც ქვეყ-
ანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.
მთავრობაც კანონიერად, მსუყედ
აჯილდოვებს ქვეყნის სპორტული
მონაგარის ავტორებს და ამ დროს
დაფიქრდეთ, რამდენი ქართველი
სპორტსმენი გამოდის სხვა ქვეყნის
სახელით საასპარეზოდ, რამდენი გახ-
და იძულებული, საკუთარი ქალაქი,
რაიონი მიეტოვებია და სხვა ქალა-
ქის, რაიონის სახელით ეასპარეზა.

კარგია, პენსიების მატება, მაგრამ
ბოლოს და ბოლოს არ უნდა
დაფიქრდეთ როდემდე უნდა იყოს
ერთნაირი პენსიები მათთვის, 40-50
წელი რომ იღვაწა და მათთვის, ვისაც
ერთი დღეც არ უშუშავია? სოციალ-
ურად ყველა მოქალაქე უნდა იყოს
დაცული, მაგრამ ნამსახურებ ყოველ
ერთ წელიწადზე ერთი ლარიც რომ
მიეცეთ დამაშვრალთ, ქმნა მართლისა
იქნება და მეტი არაფერი.

ადამიანი ეჩვევა ყველაფერს და
ახლა, ვინდა თუ არა, იმასაც მიგ-
ვანჩივს, ეროვნული ვალუტა რომ გა-
უფასურდა. მსჯელობდნენ მაინც
ამაზე წინათ, ამჟამად კი...

გენდერული საბჭოები ფუნქციონ-
ირებს მუნიციპალიტეტებში და ჩვე-
ნი ქალაქები, სოფლები ქალბატონე-
ბისაგან დაიცალა. ვინ სად იმყოფება
ოჯახის გადასარჩენად და ვინ სად.
ევროპული პარტნიორები პოლიტიკა-
ში ქალბატონების აუცილებლობას
იმით ხსნიან, რომ მეტი წინდახედ-
ულება, განსჯის, მიმტკეპლობის მეტი
უნარი ახასიათებთ ქალებსო, ასეცაა,
მაგრამ იმას რატომ არ ვითვალ-
ისწინებთ, პოლიტიკაში საჭირო
რაოდენობის ქალების არყოფა თუ
ახარალებს ქვეყანასა და ქართულ
პოლიტიკას, რა დღეში არიან ქართუ-
ლი ოჯახები? მაგალითები? ახალ-
გაზრდა ქმარმა ფეხმძიმე მუდღღ
სასიკვდილოდ დაჭრა, მეორემ მოკ-
ლა მეუღლე და გახით გაგუდვის
ინსცენირება მოაწყო, ძმამ ტყუპის-
ცალი მოკლა... იქნებ სწორედ დე-
დის მზრუნველობისა და სითბოს
გარეშე აღზრდილები გვევლინებიან
უმეტესად, დამნაშავეებად. გვიფიქრია
ამაზე?

ახალი არაფერი მითქვამს, არც
მაქვს საამისო პრეტენზია, უბრალოდ,
სპორტსმენებს რომ ვარჯიში მოე-
ნატრება, მხატვრებს ფუნჯი, მევენახე-
ს მაკრატლით ზვარში გასვლა, ისე
დამემართა – ფიქრები მომეძადა და
ქალაქზე გადმოვიტანე.

ამთავითვე ვიცი, სათაურად გამო-
ტანილ სიტყვებს, პირველ პირში ნათქ-
ვამს, ბევრი მესამე პირში რომ იტყვის:
რა შენი ჭკუის საქმეა ნეტა, მაგულს
უჭირს თუ ულხინსო და მაინც...!



უწყვეტი ბანათლების პროცესი საბავშვო ბაღში

6060 ნაწილთაშვილი

2022 წლის 11 იანვრიდან 23 იანვრამდე
სამტრედიის მუნიციპალიტეტის
სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებამ
განაახლა აღმზრდელების გადამზადების
მეორე ეტაპი. №1 ბავშვ-ბაღში მოეწყო
სპეციალური სივრცე
კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით.



ტრენინგ-მოდულის სასერთიფიკატო
კურსი მოიცავს 66 საკონტაქტო და 34
არასაკონტაქტო საათებს. ტრენინგზე
განიხილა 4 სტანდარტი: აღმზრდელ-
პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, ხარისხის სტანდარტი, ბავშვის აღზრდისა და განვითარების სტანდარტი და სასკოლო მზაობის სტანდარტი.

ტრენინგ-მოდულს უძღვევოდა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ნატო ქობულაძე და აღმზრდელ-პედაგოგის განვითარების ტრენინგ-
კურსის განმასხორციელებელი მოწვეული სპეციალისტი, ტრენერი მაკა აბულაძე.

ადგილზე ტრენინგს ორგანიზაციას უწევდა სკოლამდელთა გაერთიანების საგანმანათლებლო პროგრამების
მეთოდისტ-კოორდინატორი, მარინა ბაღდავაძე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში გადამზადების კურსი 15-მა აღმზრდელმა და 1-მა მეთოდისტმა გაიარა.
“სამტრედიის მაცნე” დაუკავშირდა პროგრამების მეთოდისტ-კოორდინატორს, მარინა ბაღდავაძეს. შეკითხვაზე,
რა არის ბავშვის განვითარება, პროგრამის მეთოდისტ-კოორდინატორი “სამტრედიის მაცნეს” ასე პასუხობს:
“რა არის ბავშვის განვითარება?”

ბავშვის განვითარების შესახებ ბავშვის ცოდნა ეხმარება აღმზრდელ-პედაგოგს ბავშვზე ორიენტირებული
საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებაში. აქვე ჩნდება კითხვა, რა უნდა ვიცოდეთ ბავშვის აღზრდისა
და განათლების სტანდარტის შესახებ?

სტანდარტის დოკუმენტის ცოდნა ეხმარება აღმზრდელ-პედაგოგს, ერთი მხრივ, გაიაზროს ბავშვის
განვითარება, ხოლო, მეორე მხრივ, განსაზღვროს სააღმზრდელი და საგანმანათლებლო პროცესის მიზნები.
ახალი სტანდარტების განხილვა, შესწავლა და გაზიარება სკოლამდელი აღზრდის სასწავლო სააღმზრდელი
პროცესში აღმზრდელ-პედაგოგებს დაეხმარება გაიაზროს სტანდარტის სტრუქტურა და საგანმანათლებლო
პროცესი წარმართონ ისე, რომ შემდეგ მიიღონ ბავშვის პოლიტური განვითარება. ეს უკანასკნელი ნიშნავს
ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას, რაშიც ფიზიკურიც შედის და გონებრივიც. ტრენინგის მსვლელობისას
განიხილული იქნა სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის ბავშვთა განვითარების აუცილებელი აქტივობების
წარმართვის პროცესი, პრაქტიკული მაგალითების ანალიზი. ვისარგებლებ შეთხვევით და თქვენი გაზრდის
ფურცლებიდან მადლობას გადაგიუხდი სამტრედიის მუნიციპალიტეტისა და სკოლამდელი აღზრდის
დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელობას”.

ბავშვ-ბაღში ფუნქციონირება ბანაახლს

6060 ნაწილთაშვილი

24 იანვრიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბავშვ-ბაღში
სასწავლო-სააღმზრდელი პროცესი განაახლდა.

24-ვე სკოლამდელი დაწესებულება სრულ მზადყოფნაში
იყო პატარების მისაღებად. სამტრედიის მუნიციპალიტეტის
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების
დირექტორის, ხათუნა გაგუას ინფორმაციით, ყველა საბავშვო
ბაღში მოხდა შენობების დეზინფექცია, შემოტანილია პივიენური
საშუალებები, კვების პროდუქტები.

“სამტრედიის მუნიციპალიტეტის 24-ვე საბავშვო ბაღი
მზადაა, თავისი აღსაზრდელები მიიღოს და შესთავაზოს
დამაკმაყოფილებელი პირობები. ვიცავთ კოვიდრეგულაციებს.
პანდემიიდან გამომდინარე, თხოვნა გვაქვს მშობლებთან, არ
მოიყვანონ საბავშვო ბაღში გაცივებული პატარები, რადგან
დაცული იქნას სხვა აღსაზრდელებისა და პედაგოგების
უსაფრთხოება. ჩვენი აღსაზრდელებისთვის შემოტანილია
საკვები პროდუქტები. ამდენად, ყველანი პირობებს ვუქმნით
საბავშვო ბაღებში მომავალ აღსაზრდელებს, მოსვლა
უხაროდეთ”. – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში
განაცხადა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ
დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა, ხათუნა გაგუამ.
მისივე ინფორმაციით, 2021 წლის სექტემბერში 24 მოქმედ ბავ-
შვ-ბაღში 1600 აღსაზრდელი იყო ოფიციალურად
დარეგისტრირებული, ხოლო კოვიდპანდემიის გამო ბავშვთა
გამოცხადება – ძალიან დაბალი. არსებული სიტუაციიდან
გამომდინარე, ხათუნა გაგუა აღსაზრდელთა რაოდენობის
მატებას არც 2022 წლის დასაწყისში მოელოდა.

“საქართველოში რომ ჩამოვად, აუცილებლად გესტუმრებით”

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენს რესპონდენტს, ბონდო ქურდაძეს, ნოსტალგია, რამდენიმე წელია, სტანჯავს. ემიგრაციაში მყოფი ჟურნალისტი, გაზეთ “შანსის” დამფუძნებელი, საფრანგეთიდან აკვირდება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. “სამტრედიის მაცნეს” შეთავაზებას, ჩაეწერა მასთან ინტერვიუ, ბატონი ბონდო სიამოვნებით დასთანხმდა.

მის ოჯახს საქმოდ დიდი წვლილი უკვე საფრანგეთის კულტურულ ცხოვრებაში შეაქვს. თავისუფლებისმოყვარე ჟურნალისტი უამრავ საინტერესო ამბავს გაიხსენებს ჟურნალისტური ცხოვრებიდან, ის სამტრედიასთან მის თბილ დამოკიდებულებაზეც ისაუბრებს.

– ბატონო ბონდო, რას ნიშნავს საყვარელი საქმის კეთების გარეშე ჩაველილი წლები? რამდენი წელია, რაც, როგორც თავად უწოდებთ, “თავისუფლების კუნძული” სახელად “შანსი” აღარ არსებობს ჟურნალისტურ თვალსაწიერზე?

– გაზეთის რედაქტორი რაღაცით გემის კაპიტანს ჰგავს, ახალგაზრდობაში, ჟურნალისტობისას და შემდგომ, რედაქტორობისას, ხშირად ვსვამდი “სიგიჟის სადღეგრძელოს.” ალბათ, მისმინა შემოქმედმა და ახლა ზუსტად მაგ მდგომარეობაში ვარ. როგორი სანახავია, უხომადღოდ, უკეიპაჟოდ დარჩენილი, ასაკს მიტანებული მეოცნებე კაპიტანი, რომელსაც საწერ მაგიდასთან, სადღაც პარიზის ქუჩებში ნაპოვნი სათამაშო გემის მაკეტი უდევს წარწერით: “შანსი–თავისუფლების კუნძული”. “შანსი”, 11 წელია, საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე დგას და ღია ზღვაში გასვლას ელოდება, ის აუცილებლად აუშვებს აფრებს, მაგრამ უნემოდ, მას ახალი სისხლი, ახალი ეკიპაჟი და ახალი კაპიტანი სჭირდება. ბევრმა შემომთავაზა ემიგრაციაში “შანსის” აღდგენა დიდი ფინანსური მხარდაჭერით, მაგრამ ეს ის შანსი აღარ იქნებოდა, “შანსი” ჩემი საკუთრება იყო და პატრონს უნდა მგვანებოდა სიგიჟით. “მხედრონმა” რედაქცია რომ დაარბია, მეორე დღეს მათი ბედადის თავი საფრთხობელას დავადგით. ვინ იხამდა ამას გიჟის მეტი?! ვინც ფულს იხდის, მუხიკას ის უკვთავს, ფულს და ხელფასს, რაც შემქმდლო, საკუთარ გაზეთში მე ვიხდიდი, ვიხდიდი მართალი სიტყვისთვის, თავისუფლებისთვის... დრო შეიცვალა, მედიის სათავეებთან პოლიტიკური კლანები აღმონდნენ, ახლა ყველაფერი პირიქითაა – ფულს მონური მორჩილებისა და მათი მოწინააღმდეგეების ლანძღვისათვის

იხდიან.

– როგორია თქვენი ცხოვრება საფრანგეთის მიწაზე?

– ვმეგობრობ ბავშვობაში წაკითხული ფრანგული წიგნების გმირებთან, აქ ყველას ნახავ, ალექსანდრე დიუმას სახლ-მუზეუმის ეზოში თუ ჩამოჯდები, აუცილებლად მოძებნი გრაფ მონტე-კრისტოს, საკანში გამოკეტილ აბაზ ფარიასა და ედმონდ დანტეს, დარტანიანსა და მის მეგობარ მუშკეტერებს, პარიზის დვთისმშობლის ტაძარს თუ ჩაუვლი, კვაზიმოდოს აჩრდილს გვერდს ვერ აუვლი. საფრანგეთის ღამაზ მიწაზე ვერც კურტიზანელი ქალების სილამაზეს მოწყვეტ თვალს. აქვე სადღაც, პარიზის ქუჩებში, დაუნდობელი რობესპიერის სუნთქვის ხმაც გესმის, რატომღაც ფიქრობ, რომ მალულად, ზურგსუკან ვერაგი ჟოზეფ ფუჟე სამარეს გითხრის. მაგრამ როდესაც კორსიკელი ბიჭის, დიდი ბონაპარტის საფლავთან დგები, მიხვდები, რომ ამ ქვეყანაში შეუძლებელი არაფერია...

– რა გენატრებათ ყველაზე მეტად?

– ყველაზე მეტად დედულეთში, ახალდაბაში, ჩვენს ეზოში, მტკვრის პირას დიდ სუფრაზე ახლობლებთან და მეგობრებთან ყოფნა.

– დღეს გლობალიზაციის წყალობით სამყარო ერთი მუჭა გახდა და ყველა სიახლე კომპიუტერში ელვისებური სისწრაფით ვრცელდება, არაერთ ხელ გამოთქვამთ პოლიტიკურ მოსაზრებებს, ხომ არ ფიქრობთ, რაიმე ფორმით მაინც დაუბრუნდეთ ჟურნალისტობას?

– ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, დრო მხოლოდ ერთი მიმართულებით – წარსულიდან მომავლისკენ მიედინება! ასე ხსნის ბერძენი ფილოსოფოსი ჰერაკლიტე თავის

გამოთქმას. არ ვაპირებ და ვერც შევძლებ ჩემი და ჩემი გაზეთის ისტორიის ახლად დაწერას, სხვა რომ არაფერი, ეს უმადურობა იქნებოდა უფლის მიმართ, რა უნდა ინატროს მეტი კაცმა? ვიყავი დიდი მასტროს, ნოდარ ტაბიძის, სტუდენტი და უმცროსი მეგობარი, პირველი კურსიდან “ახკომის” შტატიანი კორესპონდენტი, მესამე კურსზე



პირველი პრიზი ავიღე ჟურნალისტთა კონკურსში. მეხუთე კურსზე, 1988 წლის ნოემბრის აქციების დროს, სათავეში ვედეკი რესპუბლიკური პრესის საყოველთაო გაფიცვას, საბჭოთა სინამდვილეში პირველად დაიბეჭდა ცენზურის გარეშე “ახკომი” და “მოლოდიოკა”. 1989 წლის 2 დეკემბერს ჩემი რედაქტორობით გამოდის “შანსის” ნული ნომერი, სრულიად ახალი სიტყვა ქართულ სინამდვილეში... 1991 წელს კი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, ერთი დღით ვყიდულობ თბილისის მეტროპოლიტენს და უფასოდ ვამგზავრებ საქართველოს მოსახლეობას. ასევე უფასოდ ვარიგებ “შანსის” 360 000 ეგზემპლარს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ზუსტი ასლით, ბანკიდან აღებული კრედიტით. 1993 წელს მთელი შემადგენლობით გადავდივარ



აფხაზეთში და იქ ვუშვებთ გაზეთს “შანსი ფრონტის ხაზზე” სოხუმის დაცემამდე. 1995 წელს გაზეთი 5 ნომინაციაში იმარჯვებს პრესის რესპუბლიკურ ფესტივალზე, 1996-98 წლებში მწერალი რეზო მიშველაძე გაზეთში გამოქვეყნებული “100 ნოველისათვის” ღებულობს რუსთაველის პრემიას, მწერალი ლევან სანიკიძე ნარკვევების

ლაზე მაღალი ჯილდო ჩამტვრეული კბილები და ცხვირ-პირია! ამ ნომინაციაში ბევრჯერ ვარ გამარჯვებული. წერით როცა მეწერება და სათქმელი მაქვს, ფეისბუქზე ვდებ. მომავალში არ გამოვირიცხავ ჩემი უფლებით ინტერნეტ-გაზეთის გაკეთებას.

– უახლესმა ტექნოლოგიებმა თავსატეხი გაუჩინა არათუ გაზეთს, ტელევიზიებსაც – თანამედროვე ადამიანს უჯობს, უახლოეს ინფორმაციებს ონ-



ლაინ რეჟიმში, ინტერნეტით გაცნოს, ნებისმიერი არხი თავად მოიძიოს, როგორ ხედავთ პრესის ჟურნალისტის მომავალს?

– კინოს გამოსვლამ თეატრი ვერ მოკლა, ვერც ტელევიზიამ ბეჭდვითი მედია. ყველას თავისი აუდიტორია ჰყავს, ბაზარი თვითონ გადაანაწილებს მომხმარებლებს.

– როგორია თანამედროვე მედიალანდშაფტის მიმართ თქვენი დამოკიდებულება? დაგვისახელეთ მიუკერძოებელი ტელეარხი ან პერიოდული გამოცემა.

– საქართველოს მრავალფეროვანი მედიალანდშაფტი სჭირდება, მოვა დრო და ბაზარი თვითონ ჩაყლაპავს პარტიულ და კლანურ მედიას. მასმედიის დიდ ოკეანეში აუცილებლად იქნება ისეთი მარგალიტები გაბნეული, რომლებიც ობიექტური, მიუკერძოებელი მასმედიის ნიშანს დაიკავენ. მაგრამ დღეს ისინი წამყვან პოზიციაზე არ არიან, დაბალია მათი ცნობადობა. დასახელებისგან თავს შევიკავებ, თუმცა, რა დროც არ უნდა მოვიდეს, ყოველთვის იქნებიან ჯიბის გაზეთები, ჯიბის ტელევიზიები.

– როგორია სამშობლოში თქვენი დაბრუნების პერსპექტივა?

– უნგრეთის საემიგრაციო ციხიდან გამოქცეულები პარიზ-

ში რომ შემოვედით, მანქანაში 10 ლიტრი ბენზინი გვქონდა, ჯიბეში კი 10 ევრო და კოოპერატიული ბინათმშენებლობის გადახდის ქვითარი, ერთადერთი იმედი შინ დაბრუნების, მაგრამ ეს, ისე როგორც “ნაცების” ხელისუფლებიდან ჩამოცილება, ყოველგვარ ფანტაზიას სცილდებოდა. ადგილობრივი არჩევნების წინ ჩვენი ქალაქის მერს, კახა კალაძეს ვუსმენდი, გარკვევით თქვა, რომ უკვე დაიწყეს სახელმწიფოს შიდა ვალების გასტუმრება, სასწრაფოდ მოვებნე ჩვენი დაბრუნების ქვითარი, ჩემს ადვოკატს, საოცრად ღირსეულ ადამიანს, გელა ჩივაძეს, დაუკავშირდი და საბუთების მოწესრიგება ვთხოვე, მაცნობა, რომ უკვე აუღია არქივიდან კოოპერატიული ბინათმშენებლობის დამადასტურებელი საბუთები, ეგ არის, რომ წინა ხელისუფლებას 2004 წელს, რატომღაც გამორჩენია ჩემი 644-ე კოოპერატივისათვის ინვენტარიზაციის პერსონიფიცირება(!) არ გამკვირვებია, საფრანგეთში წამოსვლამდე, ბორჯომის მუნიციპალიტეტს თხოვნით მივმართე, დაბა ახალდაბაში საავეჯო ქარხნიდან ჩემს მიერ შეძენილი შენობა-ნაგებობა მიწის ნაკვეთით საჩუქრად გადამეცა “შავნაბადას” მამათა მონასტრისთვის. უარი მითხრეს, ოპოზიციაში უდგებარ ხელისუფლებას და არჩევნების დროს ამ ფაქტს რეკლამისთვის გამოიყენებო. ღმერთი მაღალია, კახამ ყველა საქმე ბოლომდე მიიყვანა, ახლა იმ ხარვეზის გამოსწორებაზე მუშაობს ჩემი ადვოკატი, შემდეგ მოთმინებით დაველოდები ჩემს რიგს! ახლა საქართველოში რომ დაბრუნდები, ამის გასათევი ადგილიც არ მაქვს! ორსართულიანი სახლი წინამძღვრის შვილზე ჩემი წამოსვლის შემდეგ ბანკმა წაიღო, რედაქცია სააკაშვილის ხელისუფლებამ წაგვართვა, ოფისი ბიზნესცენტრით საბურთალოს ბაზართან – ხათუნა გოგორიშვილის ყვავილების ბიზნეს-ბანდამ ჩაყლაპა, შევარდნაძის დროს მოგებული სასამართლო საქმე ნაფარეულის ღვინის ქარხანასთან, რომელსაც რედაქციისათვის ჩვენს მიერ ნაყიდი 100 ტონა ღვინო, ან 160 000 დოლარის ექვივალენტი თანხა უნდა დაბრუნებინა, არ აღასრულა 2005 წელს ნაცების ხელისუფლებამ.

– ემიგრაციაში ყველაზე მეტად ვინ გენატრება?
– დედა, რასაკვირველია და



უამრავი ადამიანი!

– რას აკეთებთ საფრანგეთის მიწაზე საქართველოსათვის?

– კარგ შვილებს ვზრდი საქართველოსთვის...

– თვალს ვადევნებთ თქვენი შვილის წარმატებებს კინოხელოვნებაში, გვიამბეთ ოჯახზე, თქვენს შვილებზე, სურთ მათ სამშობლოში დაბრუნება?

– ამას წინათ ძალიან დიდმა რეჟისორმა, თემურ ბაბლუანმა დამირეკა, ჩემი ბიჭის, ნი-



კას ფილმი “კარს მიღმა” ენახა, არ დაიშურა საქებარი სიტყვები, ორიგინალური ხედვა შეუქო, გზა დაულოცა. მაესტრო ბაბლუანი სიტყვებს პაერში არ ისვრის. მანამდე იყო ლონდონის საერთაშორისო ფესტივალი და გამარჯვება, უფრო ადრე მისი საკურსო 5 წუთიანი ფილმი, რომელიც ღვევილში გადაიღო,



პარტიარქის დაწერილი მუსიკის ფონზე, ნიკონის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახდა. ახლა ქართულ-ფრანგული პროექტის ძალიან საინტერესო სცენარზე მუშაობს და გადასაღებად ემზადება. ნიკა

საქართველოთი მოიწამლა, მჯერა, ის ხელდამშვენებული მალე დაუბრუნდება თავის ქვეყანას. შუათანა მარიმ ახლახან პატარა ლიზი გვანუქა, ის ფრანგ მეუღლესთან ერთად პოპულარული სასტუმრო ქსელის მენეჯმენტშია. ნაბოლარა ბარბარე ლიცეუმშია და სტუდენტობისთვის ემზადება. მეუღლე, ეკა ფილოლოგია და ქართულ-ფრანგული მთარგმნელობითაა გატაცებული. ბარბარე სამი წლის იყო, ემიგრაციაში რომ წამოვედით, შარშან ბებიების სანახავად იმყოფებოდა საქართველოში და ძლივს ჩამოიყვანეს პარიზში, ერთი თვე საქართველოზე აბოლებდა, სკოლაში ყველას ასწავლა ქართული მისალმება და სხვადასხვა სიტყვა, მეც, მის თანაკლასელებს ინტერნეტით ნასწავლი ხინკლით, ხაჭაპურით და სხვადასხვა ქართული კერძით ვმასპინ-

ძლობ. – საუკუნეზე მეტი ხნის სამტრედიას მხოლოდ გადმოცემით იცნობთ, თუ ყოფილხართ ჟურნალისტური მივლინებით თქვენი საყვარელი მაესტროს საყვარელ ქალაქში? ნოდარ ტაბიძეს სწორედ სამტრედიასში აქვს საშუალო სკოლა დამთავრებული, გალაკ-

ტიონს კი სურდა, ამ ქალაქს საგალაკტიონო დარქმეოდა. – ვგოჟდები სამტრედიასზე, ჯერ კიდევ ბავშვობისას, მამჩემს, კარლო ქურდაძეს, პროფესიით ისტორიკოსს, ყვავდი დიდ ჯიხიაში, დიდი ნიკო ნი-



კოლაძის კერაზე, დღემდე მახსოვს მისი მონაყოლი ამ დიდებულ ადამიანზე, მოგვიანებით, ჯელობისას ერთი წითელთმიანი, დაჟღავნა ბიჭის, წიქარიშვილების ოჯახს ვესტუმრეთ სოფელ დაფნარში, სანადიროდ წავგიყვანა, ვერაფერი მოვინადირეთ, მივადექით სახლიდან წამოღებულ ვარიებს, ცოტაც დაველიეთ და იქვე, მინდორზე წამოვწექით, თავი თოფის ლულაზე მედო, გამოკრა ჩვენმა მასპინძელმა ჩახმასხ ხელი და რა დღეში ჩავვარდებოდი, მიხვდებით. ორი თვე ყურში რაღაც წუოდა, ამის შემდეგ ახლოს აღარ ვეკარებოდი სამტრედიას... მოგვიანებით ბატონ თემურ ქორიძეს ვესტუმრეთ, უნიჭიერეს კაცს, მე და ბატონი ნოდარ ტაბიძე. შევეთანხმდით, რომ მისი წიგნი “დაწყვეტილი ქვეყანა” გაზეთ “მანსში” დაიბეჭდებო-

და. სამწუხაროდ, ისე დავტოვე საქართველო, ვერ მოვახერხე ჩემი მაგარი მეგობრის, ჟურნალისტ მამუკა ვაშაკიძის, მამაპაპისეულ სახლში, დიდ ჯიხიაში სტუმრობა, საქართველოში რომ ჩამოვალ, აუცილებლად გესტუმრებით, ერთი ძალიან მაგარი კაცი მინდა ვნახო, რომელიც ფეისბუქით გავიცანი და დავმეგობრდი, ჩვენი საერთო მეგობრის, ჟურნალისტ თამაზ ჭეიშვილის თაოსნობით. მინდა ღვევილის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქართული დასის “იბერიის” საპატიო წევრის მედალიონი გადავცე საინიციატივო ჯგუფის სახელით. საქვეყნოდ ცნობილი მუსიკოსი და კარიკატურისტი გახლავთ, ამ ჩამონათვალს სიტყვა “კოლეგას” თუ დავამატებთ, არ გაგიჭირდებათ მისი ამოცნობა!..

14 იანვარი ქართული თეატრის დღე!

ცხადად თუ მეჯარვით, თეატრი თავის სათქმელს ყოველთვის ამბობდა

თეა გაბუნაშვილი

და იმიტომ, რომ ჯერ კიდევ 1850 წლის 14 იანვარს თბილისში პირველი სპექტაკლი, გიორგი ერისთავის “გაყრა” დაიდგა, 14 იანვარს ქართული თეატრის დღე აღინიშნება საქართველოში. მიუხედავად ამისა, ქართული თეატრის ისტორია შორეულ წარსულში იღებს სათავეს და ამის მაგალითად უძველესი რიტუალური დღესასწაულები შეიძლება დასახელებდეს, რომლებიც თეატრალურ ელემენტებს შეიცავდა. მეტიც, კლდეში ნაკვეთ ქალაქ უფლისციხეში შემორჩენილი სათეატრო ნაგებობა თავისი სცენით და მაყურებლისთვის განკუთვნილი ნაწილით, ცხადყოფს, რომ ძველ საქართველოში კარგად იცნობდნენ ანტიკურ თეატრალურ-სანახაობით კულტურას.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პირველი ქართული სპექტაკლის დადგმის თარიღი, 14 იანვარი ქართული თეატრის დღედ არის მიჩნეული. “ქართული თეატრი მხოლოდ ფორმით ცდილობს ექსპერიმენტების განხორციელებას. აზროვნებითა და მსოფლმხედველობით კი ისევ ტრადიციების ერთგული რჩება. თანამედროვე ქართული თეატრისათვის უცხო გახდა რადიკალიზმი, ის უფრო მოკრძალებულ ტონს ირჩევს, ფრთხილბუნს მაყურებელთან შესახვედრად. ანგარიშს უწევს არა მხოლოდ მაყურებელსა და მის მოთხოვნებს, არამედ სახელმწიფო პოლიტიკასაც. ხშირ შემთხვევაში, დედაქალაქიდან მოშორებით რეგიონში უფრო აქვს ადგილი ცოცხალ ექსპერიმენტებს.” – ვკითხულობთ ერთ-ერთი თეატრალური გამოცემის ფურცლებზე. და რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, გამოცემა გასული საუკუნის 70-იან წლებს ეკუთვნის. არადა, დღევანდელ რეალობას ზედმიწევნით ეხმაურება ეს რამდენიმე წინადადება.

კულტურის სფერო და მასში არსებული პრობლემები ბოლო დღეებში ხმამაღალი საუბრის თემაა. ბუნებრივია, თვალს ვადევნებთ მიმდინარე მოვლენებს და ვეცდებით მომდევნო ნომერებში პრობლემურ თემებზე კომპეტენტურ პირებთან ვისაუბროთ.

გამოწვევებზე უფრო საფუძვლიანად, ცხადია, ჩვენზე უკეთ პროფესიონალები ისაუბრებენ. ეს მათი პრეროგატივაა. ამიტომ ქართული თეატრის დღევანდელი მდგომარეობის დასაზღვევად ვადავუყვირებ. თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნების წინაშე მდგარ პრობლემებსა და გამოწვევებზე საუბარი არაერთ კომპეტენტურ რესპონდენტთან გვიჩვენოდა, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო, ეს ვერ მოხერხდა. ვეცდებით ეტაპობრივად ეტაპობრივად გაგაცნოთ მათი მოსაზრებები. ამ ინტერვიუთი მაინც შეგვიძლია თქმას რამდენადმე გამოუხმაურებლად.

სანამ ადგილობრივი თეატრალური დასის საჭიროებებზე მისი წარმომადგენლებისგან ვისაუბრებდეთ, ნომრის სტუმრად მესხიშვილის თეატრის მსახიობი მაგდა გერაძე შეგარჩით. შეგარჩიეთ იმიტომაც, რომ მას საკმაოდ ახლო ურთიერთობები აქვს სამტრედიასთან და მისი წარსული შემოქმედებთადაც უკავშირდება ჩვენს ქალაქს. გარდა ამისა, ის გახლავთ მსახიობი, რომელიც აქტიურადაა ჩართული თეატრალური ფესტივალის “თეატრალური იმერეთი” მიმდინარეობაში და მეტ-ნაკლებად იცნობს

რაიონებში არსებული პროფესიული და სახალხო თეატრების წინაშე მდგარ სირთულეებს.

უკვე აღვნიშნეთ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა-თქო და ჩვენი გაზეთის წინა ნომრისთვის განკუთვნილი ინტერვიუ, ამჯერად უნდა შემოგთავაზოთ.

– თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნების წინაშე მდგარი პრობლემები და გამოწვევები სასაუბროდ პატარა თემა ნამდვილად არ არის, მაგრამ იქნებ მოკლედ ვისაუბროთ იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც განსაკუთრებით მტკივნეულია ხელოვნების ამ სფეროსთვის.

– ქართული თეატრის წინაშე ძალიან ბევრი და დიდი პრობლემა დგას და ამ საჭიროებებზე ასე ცალსახად ვერ ვისაუბრებთ. ერთ-ერთ პრობლემაზე შევხვდებით და ეს არის მაყურებლის პრობლემა, რომელიც, თუ ძალიან ხმამაღალი ნათქვამი არ იქნება, ინტერნეტში შეგვიქმნა. ძალიან დიდ კონკურენციას გვიწევს. და არა მხოლოდ თეატრს, ვფიქრობ, ხელოვნების თითქმის ყველა სფეროს უწევს კონკურენციას ინტერნეტს, რადგან ადამიანებს აქვთ საშუალება, სახლიდან გაუსვლელად, მათთვის მყუდრო გარემოში, უკაცრავად, მაგრამ ასეც ვიტყვით, თმის, ფრჩხილის მოუწესრიგებლად, ინტერნეტით გაეცნონ იმ კულტურულ სიახლეებს, რაც აინტერესებთ. მაგრამ, უდავოა, რომ ეს ვერაფერს ნაანაცვლებს იმ სულიერ მოთხოვნილებას, სულიერ სიამოვნებას, რასაც უშუალო კონტაქტი აქვია იმ ცოცხალ ორგანიზმთან, ხელოვნების ესა თუ ის დარგი რომ ჰქმნის. სცენასთან, მსახიობთან, თუნდაც, მუზეუმში თითოეულ ექსპონატთან უშუალო შეხება სხვა განცდაა.

მაყურებელთან ერთად აუცილებლად უნდა შევეხო ფინანსურ პრობლემასაც. დედაქალაქის თეატრებს ვერ შევხვდებით, მაგრამ ცოცხალი დაფინანსება ნამდვილად არ გვაქვს. თუმცა, სახელმწიფო დაფინანსებით მიღებული თანხის ძირითადი ნაწილი ხელფასებს ხმარდება. ძალიან ცოტა, მიხერხული თანხა რჩება სადადგომო ნაწილისთვის, ანუ თეატრის ხელმძღვანელობას სადადგომო ნაწილისა და კომუნალური გადასახადებისთვის თანხების მოძიება თავად უწევს, რაც ყოველდღიურად სულ უფრო რთული ხდება.

– პანდემიურმა რეალობამ საკუთარი რეგულაციები დაუწესა მსოფლიოს. ყველაფერი ისე ვერ იქნება, როგორც აქამდე, ყოველდღიურობის სლოგანად იქცა. ბუნებრივია, თეატრს ამ რეგულაციების გათვალისწინებით თამაშობს “საკუთარი სპექტაკლს”. როგორ აუწვევთ ფეხი ამ რეალობას მსახიობებმა და თეატრებმა?

– მოგეხსენებათ, პანდემიამ არა მხოლოდ თეატრის, თითქმის ყველა სფეროს პარალიზება მოახდინა. მართალია რეგულაციებით, მაგრამ, კარგა ხანია, დაგუბრუნდით ჩვეულ რიტმს, ვაგრძელებთ მუშაობას. თუმცა დიდმასშტაბიან სპექტაკლებზე უარის თქმა გვიწევს, უფრო მცირე ფორმატის დადგმებს ვთავაზობთ მაყურებელს, სადაც მხოლოდ რამდენიმე მსახიობია დაკავებული. “ზოგი ჭირი მარგებელია”, ნათქვამია და ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა პანდემიამ. ჩვენი თეატრის მაგალითზე ვიტყვი, რომ ნაყოფიერად გამოვიყენეთ დოქტაინი. სოციალური პლატფორმის, ფეისბუქის საშუალებით ვურთიერთობდით მაყურებელთან, შევთავაზეთ ჩანაწერე-



ბი ძველი სპექტაკლებიდან, ვთავაზობდით ჩანაწერებს, სადაც მსახიობები კითხულობდნენ ლექსებს, ჩანახატებს, ლიტერატურულ ნაწარმოებებს. გადავიღეთ რამდენიმე სახალისო კლიპი. ერთი სიტყვით, ცუდიდანაც რაღაც კარგი გამოვიტანეთ.

– როგორია მესხიშვილის თეატრის სცენიდან დანახული რეგიონალური თეატრების წინაშე მდგარი პრობლემები. ამ კითხვას გისვამთ იმიტომაც, რომ თქვენ აქტიურად ხართ ჩართული იმ ფესტივალის ცხოვრებაში, ყოველწლიურად რომ იმართება “თეატრალური იმერეთის” სახელწოდებით. ძალიან სასიამოვნოა, რომ ეს ფესტივალი სულ უფრო იზრდება და გასულ წელს საუბარი იყო მის საერთაშორისო დატვირთვაზეც. მაგრამ მანამდე, უდავოა, რომ დაარსებიდან დღემდე, იგი, ფაქტობრივად, ერთადერთი საშუალებაა მუნიციპალურმა თეატრებმა საკუთარი შესაძლებლობებით არათუ მხოლოდ საკუთარი მუნიციპალიტეტის, ზოგადად იმერელი მაყურებლის წინაშე გამოიტანონ. სამტრედიის თეატრალური დასის მაგალითზე ვიცო, რა დიდი მოლოდინები აქვს ამ ფესტივალისგან რაიონულ თეატრებს. სცენიდან, მაყურებლისთვის იქნებ არ სჩანს, მაგრამ მსახიობები და განსაკუთრებით პროფესიონალი მსახიობები, “კულისებში” ადვილად მიხედვით ამ პატარა თეატრების საჭიროებებს. თქვენ აზრით, რა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას სახალხო და დრამატული თეატრები პერიფერიებში?

– დედაქალაქის თეატრები ვახსენე და წავიწუწუნე მათთან შედარებით ჩვენთან არსებულ ფინანსურ პრობლემებზე. რეგიონებში რომ კიდევ უფრო მკვეთრი იქნება ეს საჭიროებები, ცხადია! მაგრამ ვფიქრობ, იქ ცოტა სხვაგვარადაა საქმე. ჩვენთან თუ მაყურებლის პრობლემაა, ჩემი აზრით, რეგიონის თეატრებს მაყურებლის პრობლემა არ აქვს, იქ სხვა რამ აქვთ თავსატეხად. ფაქტია ისიც, რომ რეგიონებში არსებული თეატრების შემოქმედებითი ცხოვრება აბსოლუტურად განსხვავებულია დიდ ქალაქებში არსებული და ზოგადად, პროფესიული თეატრების ცხოვრებისგან. დასში პროფესიონალი მსახიობების ნაკლებობა თვალშისაცემია. სამაგიეროდ, აქ შეხვდებით სცენაზე მდგომ ინტელიგენციის წარმომადგენელს, გლეხს, სხვადასხვა სამსახურში დაკავებულ ადამიანს. თეატრის მოღვაწეთა კავშირის ხელმძღვანელის, ლევან როხვაძის, ინიციატივით დაფუძნებული ფესტივალი, რომელიც არაერთი წელია, ყოველწლიურად იმართება და მას მესხიშვილის თეატრი მასპინძლობს, ნათლად წარმოაჩენს რეგიონებში არსებული სახალხო თეატრების როგორც მიღწევებს, ასევე საჭიროებებსაც. ეს იქნებ

მხოლოდ პროფესიონალებისთვის გახლავთ თვალსაჩინო და არა მაყურებლისთვის, მაგრამ ეს ფესტივალი გარკვეულ შთაბეჭდილებას ქმნის რეგიონებში არსებული თეატრების ყოფაზე. წლიდან წლამდე ელოდებიან ეს სახალხო თეატრები ამ ფესტივალს და მათთვის ის ერთგვარი სტიმულიც გახლავთ. უნდა ნახოთ, რა ხდება მესხიშვილის თეატრში ფესტივალის პერიოდში! გარდა იმისა, რომ დარბაზში მაყურებელთა დიდი ოვაციობა, ჩვენთვის კულისებში ძალიან ხილულია თვითონ სახალხო დასის მოლოდინები. ხმამაღლა გამოხატავენ მადლიერებას ამ ფესტივალისა და მისი ორგანიზატორის მისამართით, რადგან ეს გახლავთ, შეიძლება ითქვას, ერთადერთი საშუალება, ამ მოყვარულმა მსახიობებმა საკუთარი შესაძლებლობები პროფესიონალურ სცენაზე გამოავლინონ. მადლიერებას არა მხოლოდ



ფესტივალის, საკუთარი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობის და ყველა იმ ადამიანის მისამართითაც გამოხატავენ, ვინც შესაძლებლობას აძლევს მათ სპექტაკლი დადგან და საკუთარი ნამუშევარი რაიონებიდან გაიტანონ, უფრო ფართო მაყურებელს აჩვენონ.

– განსაკუთრებით რაიონებში, ბიბლიოთეკასთან ერთად, თეატრი დიდი სულიერი საზრდოა. ამიტომ, დიასაც, აუცილებელია მეტი ყურადღება და მხარდაჭერა ჰქონდეს ამ ადამიანების შრომას და მცდელობას.

– როგორც ვიცო, თქვენ სამტრედიასთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობები გაქვთ, კარგად იცნობთ, გიცნობენ და ბევრს უყვარხართ ჩვენს ქალაქში. სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის სახალხო თეატრთან შემოქმედებითი კავშირებიც შეგვიძლია საუბარი...
– სამტრედიასთან ჩემი კავშირები ძალიან სენსიტიური თემაა ჩემთვის. ეს გახლავთ ჩემი დედუღითი, სადაც დავიბადე და ბევრი ახლო ნათესავი და კარგი სამეგობრო წრე მქავს. ტკივილიანიც არის ჩემთვის სამტრედიული მოგონებები, რადგან ბევრი ნათესავი და მეგობარი დღეს ცოცხალი აღარ არის. სამტრედიასთან ჩემი შემოქმედებითი ურთიერთობები ჯერ კიდევ 80-იან წლებში დაიწყო. მაშინ დავიწვინე პიონერთა სახლში ვმუშაობდი საკმაოდ კარგად ცნობილი ანსამბლ “იმედის” მეორე თაობის პედაგოგ-ორგანიზატორად. არაჩვეულებრივი ქალბატონი, მაყვალა ჩანუა ხელმძღვანელობდა მაშინ პიონერთა სახლს. ჩემი ცხოვრების წარუშლელი ეპოპეაა “იმედის” ხელმძღვანელ თამაზ ღუნდუასთან ურთიერთობა. ურთიერთ-

ბის აკადემია გავიარე ამ ფენომენალური ნიჭის მქონე ადამიანთან ერთად. გულწრფელად მიხარია, რომ ეს წლები იყო ჩემს ცხოვრებაში!

არ შემიძლია, ძალიან თბილად არ ვისაუბრო თეატრის ამქამინდელ ხელმძღვანელზე. ვეფხია ნადირაძეზე. ამ თეატრთან შემოქმედებითი ურთიერთობებიც მაკავშირებს. წლების წინ, რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ კორპორატიული სპექტაკლი დადგა ქუთაისის მესხიშვილის თეატრისა და სამტრედიის თეატრის დასის მონაწილეობით, შადიმან შამანაძის “ღია შუშაბანდი”. 2015 წელი იყო. სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის სახლის სპექტაკლით წარვსდევითი ფესტივალი “თეატრალურ იმერეთზე”. დაშა ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობდა მაშინ ფესტივალის ყოყრის. იმ წელს ორი პრიზი აიღო

სამტრედიის თეატრმა. ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრიზი მე მერგო, ხოლო სპექტაკლი გრან-პრი, ფესტივალის უმდიდრესი ჯილდოთი დაჯილდოვდა.
– ის, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა სფერო და ზოგადად რეალობა გახლავთ პოლიტიზირებული, დიდ დაკვირვებას არ საჭიროებს. თუმცა, დაფიქრებამ ნამდვილად ვერც ბუნებრივია, ამ “რუტინას” გირც თეატრალური ხელოვნება ასცდებოდეს. უფრო სწორად, თუ ვერ ასცდებოდა, სწორედ თეატრალური ხელოვნება და ხელოვნების დარგები ვერ ასცდებოდა. რადგან საგრძნობია ეს თქვენთვის, როგორც მსახიობისთვის და რამდენად აზარალებს ამგვარი დამოკიდებულება ხელოვნების ამ დარგისადმი ჯანსაღ მიდგომებს?

– რომ ვითხრათ, დიდი ანალიტიკოსი ვარ-თქო, ტყუილი იქნება, მაგრამ რადგან მკითხეთ, ჩემს აზრს მოკლედ მოგახსენებთ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში თეატრალური და არა მხოლოდ თეატრალური ხელოვნება პოლიტიკურ მარწუხებში გახლავთ მოქცეული, ცხადად თუ შეპარვით, თეატრი თავის სათქმელს ყოველთვის ამბობდა, ეხმიანებოდა საზოგადოებაში დაგროვილ პრობლემებს. პოსტ-საბჭოთა საქართველოში თეატრი თავისუფალია და მოქმედი კანონიც არსებობს თეატრის შესახებ. რაც გინდათ, ის დავარქვათ ამას, მაგრამ მისი ერთ-ერთი მიზანიც ეს არის, და ახლაც ეხმიანება თეატრალური ხელოვნება საზოგადოების პრობლემებსა და საჭიროებებს. სათქმელი სცენიდან ყოველთვის უნდა ითქვას. ასე მისი ეფექტი სხვაანაირია და შედეგიც, ხშირ შემთხვევაში, შთაბეჭდილი.



სამბრადიის სკოლაში სწავლა პირადი მეთოდით მიმდინარეობს

25 იანვრის მდგომარეობით, კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე, სამბრადიის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების შერეული სისტემა მუშაობს. სრულ დისტანციურ სინქრონულ სწავლებაზე იმყოფება სამბრადიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწრის საჯარო სკოლა; ხოლო ექვს, მე-4, მე-12, გიორგი ნიკოლაძის სახელობის სოფელ დიდი ჯიხაიშის №1, სოფელ იანეთისა და სოფელ დანირის საჯარო სკოლებში ცალკეული კლასებია გადაყვანილი დისტანციური სწავლების პიბრიდულ მოდელზე. ამ სკოლებში 21 მასწავლებელი და 11 მოსწავლეა დაინფიცირებული.

ცნობისათვის, ელექტრონულად სპეციალური გვერდია შექმნილი, სადაც თავად მშობელს შეუძლია, შევიდეს და აირჩიოს მისი შვილის დისტანციური სწავლება. სკოლა განიხილავს განაცხადს და გადაწყვეტს მოსწავლის დისტანციურად სწავლების საკითხს. ამ უკანასკნელის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მოსწავლე სწავლას დისტანციურად განაგრძობს. ეს ინფორმაცია გაზეთ "სამბრადიის მაცნეს" სამბრადიის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა მიაწოდა.

2022 წლის 17 იანვარს განახლდა საქართველოს საჯარო სკოლებში სწავლა, მათ შორის სამბრადიის მუნიციპალიტეტში. სწავლება ეწელებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეკომენდაციების სრული დაცვით მიმდინარეობს.

35-ეე საჯარო და 2 კერძო სკოლა აღჭურვილია სამინისტროს მიერ მიწოდებული სადუხინფექციო საშუალებებითა და პირბადეებით.

სკოლის თანამშრომლებს სისტემატურად უტარდება ტესტირებები, როგორც შესაბამისად გადაზიდული სკოლების ექიმების, ასევე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამბრადიის რაიონული ცენტრის მიერ.

6060 ნანიაშვილი



იბელი სვალის

ახალგაზრდობა ქვეყნის იმედი, ხვალისდელი დღეა, მათზე დამოკიდებული საქართველოსა და ქართველი ერის მომავალი.

ახალგაზრდა, ვის შესახებაც ამჯერად მკითხველს უნდა მოვუთხროთ, პედაგოგთა ტრადიციულ ოჯახში დაიბადა და აღიზარდა.

თორნიკე გელეიშვილმა სამბრადიის მეოთხე საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო. იგი სასურსათო პროდუქტთა ექსპერტიზის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია.

შეკითხვაზე, თუ რატომ აირჩია ეს ფაკულტეტი, გვპასუხობს:

“საქართველო ოდითგანვე აგრარული ქვეყანაა ჯანსაღი, უვნებელი სასურსათო პროდუქციის წარმოებას, ისე როგორც არასდროს, სადღეისოდ დიდი ყურადღება ეთმობა, თანაც სპეციალობა რამდენადმე მოთხოვნადია და გადაწყვეტილებაც ამიტომ მივიღე”.

თავისუფალ დროს მშობლებს ოჯახს შინაურ საქმეებშიც შევლის და ინტელექტუალური გართობისათვისაც იცლის, უყვარს ფეხბურთი, მხატვრული ლიტერატურის კითხვა, ქართველ კლასიკოსთაგან ილიასა და აკაკის აღმერთებს. ნადირობა კი მისთვის ნამდვილი გატაცებაა და ისიც ნადირობს რივისა და წესების დაცვით.

მოკრძალებული სამომავლო გეგმები აქვს თავადაც მოკრძალებულ და თავაზიან ახალგაზრდას.

მინდა, საფუძვლიანი ცოდნა შევიძინო, რათა სრულად მოვახდინო საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაო, – გვითხრა მან.

ეკვი არ გვეპარება, არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ჩვენს ქვეყანას თორნიკე გელეიშვილის სახით მართლაცდა მოთხოვნადი სპეციალობის ღირსეული, კვალიფიციური კადრი ეყოლება.

წარმატებებს ვუსურვებთ მას სამომავლოდ, ვიმედოვნებთ, “სამბრადიის მაცნე” მომავალშიც არაერთხელ დაწერს მის შესახებ.

ლევან ბაბუჩავა

მეხუთე!

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების, ლეგენდარული ქართველი კალათბურთელების ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორტიას მე-17 მემორიალის გამარჯვებული კალათბურთში ზედიზედ მეორედ, საერთოდ მეხუთედ გახდა ქუთაისის "ქუთაისი" (მთავარი მწვრთნელი კოტე ტულუში), რომელმაც 25 იანვარს ქუთაისში, მათსავე სახელობის სპორტის სასახლეში ფინალურ შეხვედრაში 15 ქულის სხვაობის ანგარიშით 93 : 78 დაამარცხა თბილისის "მეგა".

ზამთრის ოლიმპიადი

9 სპორტსმენის მონაწილეობით

4-20 თებერვალს ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გაიმართება ზამთრის 24-ე ოლიმპიური თამაშები.

პეკინში, ზამთრის ოლიმპიადაში საქართველოს ოლიმპიური ნაკრების 9 სპორტსმენი სპორტის 3 სახეობაში იასპარეზებს.

იორაბ ნიკოლეიშვილი

ფეხბურთი მისი ბატასება

დაბლა გომელი ფეხბურთის 67 წლის გულშემატკივარი, პროფესიით ინჟინერი მამია ცინცაძე ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებულია. მისი საყვარელი ფეხბურთელებია: სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, გარინა, პულე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი და სხვები. ჩვენი მუნიციპალური გაზეთის "სამტრედიის მაცნეს" ფურცლებზე დაიბეჭდა ბატონის მამიას რამდენიმე ლექსი. 2019 წელს კი მან გამოსცა მეტად შესანიშნავი ლექსთა კრებული. წლების მანძილზე იგი მუშაობდა სამშენებლო ორგანიზაციებში სხვადასხვა თანამდებობებზე. ამჟამად თავის საკარმიდამო ნაკვეთშია დაკავებული შრომითი საქმიანობით. მეუღლესთან ერთად ხარობს შვილებსა და შვილიშვილებს.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ მის მორიგ ლექსს, რომელიც მან მიუძღვნა მსოფლიო ფეხბურთის მშვენიერს, განუმორებელი მარცხენა გარემარბის, სპორტის დამსახურებულ ოსტატის მიხეილ (მიშა) შალვას ძე მესხის ნათელ ხსოვნას.

სახელოვან და ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს მიხეილ მესხს 2022 წლის 12 იანვარს 85 წელი შეუსრულდებოდა.

იორაბ ნიკოლეიშვილი

მისივე მესხი

წინათ:

სახლში მესხი, გარეთ მესხი,
ეს სახელი ყველგან გვესმის,
მესხის ფინტი, ისევ მესხი,
სადღეგრძელოც ბევრჯერ შევსვით.
სტადიონზე დადიოდნენ,
რომ ენახათ მესხი,
დრიბლინგების მეფე,
ქარიშხალი მესხის.
ტრიბუნები ზანზარებდა
და ყოყინა გვესმის,
ცას გუგუნო ასდიოდა:
მესხი! მესხი! მესხი!
"მარაკანას" სტადიონზე თურმე
პულეს შეხვდა მესხი,
ბურთი ლაჯში გაუტარა,
გაუბედა მესხიმ,
პულემ ხელში აიტაცა,
მერე თურმე მესხი.
გუგუნებდა "მარაკანა":
მესხი! მესხი! მესხი!

დღეს:

არვინ დადის სტადიონზე,
გუგუნიც არ გვესმის,
რადგან, დღეს აქ არ თამაშობს,
მინამსგავსიც მესხის


ყ ყ

ალარც ფინტი
ალარც მესხი,
ფულის გარდა არვის ესმის,
ნეტავ რა ედირებოდა,
დღეს რომ იყოს მესხი.

მამია ცინცაძე

ყოჩი

მიოდრამ ღრუბ მილანოვიჩი



პატარობიდანვე უყვარდა რქენა

ჯერ კიდევ ძუძუს წოვდა, როცა მეძუძურ დედა-ცხვარს უკანა ფეხებში თავის დარტყმით წონასწორობას აკარგავინებდა. თანამომკმეებს სადაც წამოეწოვდა, იქ ეძვრებოდა. განსაკუთრებით ჭრელბუწვიანებს ერწოდა. მე და ჩემი უმცროსი ძმა თუ ახლოს ვიყავით, თავს მოიკატუნებდა, ანგელოზად წარმოგვიჩნდებოდა, მაგრამ როგორც კი ცოტათი მოვცილდებოდით, ან ყურადღებას მოვადუნებდით, მაშინვე გამოეკანებოდა და დაგვარტყამდა ყველაზე სუსტ ადგილებში. ამიტომ, როცა ხანდახან გაგვეთამაშებოდა, ყოველთვის სიფრთხილეს ვინებდით, რადგან არ ვიცოდით, როდის გვეძვრებოდა "რწოლია" (ეს სახელი მისი საქციელის გამო შევარტყით).

თუ ადამიანს წაღუნულს დაინახავდა, მაშინვე მის უკანაზე მიიტანდა იერიშს თავით.

ჩვენს მშობლებს "რწოლია" ძალიან უყვარდათ და პატივს სცემდნენ, მზრუნველობას არ აკლებდნენ, სანაშენოდ ზრდიდნენ.

როცა რქები დაანდა, ძალიან მოემატა და ცხვრებს ყოველთვის წინ მიუძღოდა. თუმცა საშიშროების წარმოქმნის შემთხვევაში შუა ფარაში შერბოდა.

მალე რქები დიდი გაეზარდა, ზურგი გაუფართოვდა, დამშვენდა. ერთი სიტყვით, მის ნახვას არაფერი სჯობდა.

მიუძღვოდა ფარას და არჩევდა საუკეთესო ბალახს. ჯერ თვითონ მოძოვდა, მის შემდეგ დანარჩენები. ცხვრებს უმეტეს შემთხვევაში სოიაკის მთის კალთებზე ვაძოვებდით. როცა მზე მთის უკან გადაიწვერებოდა ნელ-ნელა ვზრუნდებოდით სარწყულელებისაკენ.

"რწოლიას" თავისი გუმურა ჰქონდა, ხოლო დანარჩენი ფარა ნაფეხურებში ჩამდგარი წყლით იკლავდა წყურვილს.

სადოვართან ახლოს პირუტყვის საზამთრო სადგომი ბაკი იყო, მაგრამ იმ პერიოდში რომელიმეც შეიარაღებული ჯარისკაცების რაზმი იდგა, რომლებსაც ჩეტნიკებს ეძახდნენ. ამის გამო იძულებული ვიყავით, სადამოლობით ცხვარი სოფელში გაგვერეკა ფარებში დასაბინავებლად.

- რატომ არ აჭენებთ ყონს? - გვეკითხა ერთ სადამოს მოვრალმა ჩეტნიკმა.

- რაა? - გაგვიკვირდა და თან შეგვეშინდა.

- რატომ არ აჭენებთ-მეთქი ყონს? მოახტით ზურგზე, ხელები რქებში ჩააგლეოთ და გააჭენეთ, გაიხედნება.

- ამას არ ვიზამთ. - ვიპასუხე მე.

- თქვენ თუ არ იზამთ, მე ვიზამ! - გვითხრა და ცხვრისკენ წაიწია.

ახლახან ყონად მონათლულმა "რწოლიამ" იგრძნო, რომ კარგ რამეს არ უპირებდნენ. ჯარისკაცისკენ მიბრუნდა, ოდნავ ჩაცუცქა და მიეღო სიმძიმე უკანა ფეხებზე გადაიტანა. ასე ჩადგა სრულ საბრძოლო მდგომარეობაში და დაელოდა ჯარისკაცის მიახლოვებას ერთ-ორ მეტრამდე. რაზმელმა ქუდი მოიხადა და სწრაფად ჩამწურთა ხელში. იმავე წამს "რწოლია" მიწას მოწვდა, გაფრინდა და ჯარისკაცს მთელი ძალით ურქინა საზარდულში.

დაფეთებული ფარა უეცრად ადგილს მოსწვდა და სწრაფად დაეშვა თავიქვე ნაპურალში, სოფლისაკენ.

"რწოლიამ" შემომხედა. მე ქუდი პატრონს მივუგდე, რომელიც ტკივლებისაგან მიწაზე იკლანებოდა.

- დაგვალავ, ყელს გამოგჭრი! - ღრიალებდა რაზმელი და წამოდგომას ღამობდა.

ხეს ამოფარებული ნელა მივიწიე "რწოლიასკენ". ის მიმისვდა და თვითონაც ჩემსკენ წამოვიდა. მერე არ ვიცი, როგორ მოხდა - შიშისგან იყო თუ ეშმაკის ხელი ერია - ვერ გავიგე თვალის დახამხმებაში როგორ აღმოვჩნდი ყონის ზურგზე.

და ისიც დაქანდა ქვემოთ, ნაპურალში...

"ვინ დამიჯერებს, რომ ცხვარს მივაჭენებ რქებში ხელებჩაველებული?" - გამოიღვა გონებაში. მაგრამ მეტი გაფიქრება ვერ მოვასწარი, პირველივე მკვეთრ მოსახვევში თავი ვერ შევიმაგრე და ყონის ზურგიდან პირდაპირ ხშირ ეკალბარდში გადავფრინდი. ძლივს წამოვდექი, ტანზე დავიხედე. შარვალ-ხალათი ნაფლეთებდად მეკიდა სხეულზე. ხემოდან ყვირილი შემომესმა: "დაგვალავ, ხვალვე დაგვალავ!" - ხელების ქნევით გვემუქრებოდა მუხლებზე წამოსოქილი ჯარისკაცი.

სადამოს ბაბუას ყვლაფერი მოუწყვეით რაც შეგვემთხვა.

მეორე დღით ცხვრები სხვა მხარეს გავრეკეთ, მაგრამ "რწოლიას" გარეშე, რადგან ბაბუამ გვითხრა: - ყველგან ჩეტნიკები დაძრწიან. აჯობებს, "რწოლია" დღეს სახორეში დარჩეს, ძროხებთან.

იმ დღეს სადოვარზე ძლიერმა წვიმამ მოგვისწრო და ადრე მოგვიწია უკან დაბრუნება. გაწუწულმა და მოშივებულმა, როგორც იქნა, მოვადწიეთ სახლამდე და "რწოლიაც" დავინახეთ. მის დანახვაზე ცხვრებმა ერთხმად ბლაგილი დაიწყეს.

სახლის პარმალის წინ ჯარისკაცი იდგა. ბაბუას "რწოლია" მოჰყავდა რქაში ხელჩაველებული. მეორე ჯარისკაცი უკან მოჰყვებოდა ჯოხით აწერებოდა პირუტყვს.

მე და ჩემი უმცროსი ძმა მიხვდით, რაც ხდებოდა და სმამაღლა ავტირდით:

- არ გაგატანს "რწოლიას", არ გაგატანს!

- "რწოლია" კი არა ყონია, ყონი, ჰა-ჰა-ჰა! ბოროტად გაიცინა ჯარისკაცმა.

- ნუ ფლიკვინებთ, შედით ახლავე სახლში და წვინტლები გაიწმინდეთ. - გვიყვირა მამამ.

მეორე დღეს დილაადრინად ჩეტნიკები პურისთვის ჩამოვიდნენ ჩვენს მეზობელთან და ბაბუას ყონის რქები მოუტანეს. ბაბუამ ისინი კარნახაზე ჩამოკიდა.

დიდი ხნის შემდეგ გავიგე სიტყვა "ყოჩის" ნამდვილი მნიშვნელობა.

"რწოლია" თუ ყონი - მაინც ცხვარი იყო.

მუდამ რომ ფარის თავში არ ევლო, არამედ შუაში ყოფილიყო, რომ არ ჰქონოდა დიდი და ძლიერ წამახული რქები, შეეძლო, კიდევ დიდხანს ეცოცხლა.

მაგრამ ის ნამდვილად ყონი იყო. და ეს იყო მისი ბედისწერა.

ამ რამდენიმე დღის წინ გზაზე ერთი გასაცოდავებული ფარა ვნახე. წინამძღოლი ვერძი ძლივს მოდიოდა, უკანა ფეხები წინაში ებლანდებოდა, ზურგი თითქმის არც აჩნდა, კეზი ამოზრდოდა, დაღრეკილი და ბლაგვი რქები ასრულებდა ამ უსიამოვნო სანახაობას.

ვერ მოვითმინე და მწვემს - თავდაც წელში მოხრილ ბერიკაცს შევეკითხე:

- ეს ვერძია?!

- დიახ.

- მაგრამ რომ არ ჰგავს!

- ჰოდა, დაგვალავ! - გამოძვრა ხმა ჭადარა წვერებიდან.

ამის გაგონება იყო და მოთხრობის სიუჟეტი თავში თავისით დალაგდა.

სერბულიდან თარგმნა თემურ პირველი

თქა თევზაძე-ჩიტიას ხსოვნას

ის ახლა გადმა ნაპირზე გასული და, მჯერა, ამ სიტყვებით გვეხსიანება. ცდილობს, როგორმე დაგვაშვიდოს: “ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ” (წმინდა ავგუსტინეს მიხედვით). “სიკვდილი არ არის რა. მე მხოლოდ გადმა მხარეს გავედი. მე ისევ მე ვარ, შენ ისევ შენ ხარ. რაც ვიყავით ერთმანეთისთვის, ისევ ვართ საუკუნოდ, ისევ ისე მომმართე, როგორც ყოველთვის მოგიმართავს. ისევ ისე მეხაუბრე, როგორც ყოველთვის გვისაუბრია. ნუ დამელაპარაკებ სხვა კილოთი ნუ მიიღებ სამგლოვიარო და მწუხარე იერს. გაიცინე, რაზეც გვეცინებოდა. ილოცე, გაიღიმე, იფიქრე ჩემზე, ჩემთან ერთად ილოცე. ჩემი სახელი ისევ ისე წარმოითქმის, როგორც ყოველთვის წარმოითქმოდა, ყოველგვარი ზეაწეულობის, ყოველგვარი ნადველის გარეშე. სიცოცხლე იმას ნიშნავს, რასაც მუდამ ნიშნავდა. იგი ისევ ის არის, რაც მუდამ იყო, ძაფი არ გამწვდარა. რად გგონივარ შენს ფიქრთა გარეთ? იმიტომ, რომ შენს თვალსაწიერს გარეთა ვარ? მე შორს არა ვარ, ზუსტად გზის გადაღმა ვარ... ხომ ხედავ, ყველაფერი კარგად არის... ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ. თუ მართლა იცი, რა არის ღვთის მადლი და სასუფეველი. თუ ძალგიბს, გაიგონო ანგელოზთა გალობა და ანგელოზებს შორის დამინახო!.. თუ ძალგიბს, იხილო გადასხნილი თვალსაწიერი, საუკუნო სამოყვლი, ახალი ბილიკი, რომელსაც ვაღვარდ... თუ წამით ძალგიბს, ჩემსავით უჭკვირტო მშვენიერებას, რომლის წინაშე ყველა სილამაზე ფერმკრთალდება!.. როგორ! თუკი საწუთროში, ან რაღაც საუფლოში, მხედავდი და გიყვარდი წარუვალ სიხალდეთა საუფლოში ვეღარ უნდა მხედავდე და გიყვარდე? გწამდეს, როცა სიკვდილი შენც აგვირის ბორკილებს, როგორც მე ამყარა, როცა ერთ დღესაც, მხოლოდ ღვთისათვის ცნობილი და ღვთისგან დადგენილ დღეს, შენი სულიც სასუფეველში შევა, სადაც ჩემმა სულმა შეგასწრო, იმ დღეს შენ კვლავ შეხვდები მას, ვისაც უყვარდი და ისევ ისე უყვარხარ, კვლავ პოეზიებს მის სულს და იმ გულში კვლავ იმავე გრძობას პოეზიებს, ოღონდ უფრო განწმენდილს. შეიშრე ცრემლი და ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ.”



მწარე ფიქრებმა დათუნთა, გულსაც გაუნდა კრილი... ადექი, შეიღო, გათუნდა, როგორ გაგიტება ძილი?! ჯავრის ღრუბელი მომფინე, ვაი, ჩემს ქვეყნად ბოგინს... ნეტავ, რა გაგათბობინებს გალიგულ მიწის ლოგინს?!
აკაკი თევზაძე

“სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს პოეტ აკაკი თევზაძეს შვილის

თქა თევზაძე-ჩიტიას

გარდაცვალების გამო.

მაყვალა ჩირგაძე თანაუგრძნობს პოეტ აკაკი თევზაძეს შვილის,

თქა თევზაძე-ჩიტიას

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძნობს პოეტ აკაკი თევზაძეს შვილის

თქა თევზაძე-ჩიტიას

გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი თანაუგრძნობს პოეტ აკაკი თევზაძეს შვილის

თქა თევზაძე-ჩიტიას

გარდაცვალების გამო.

“სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს ეკა ცომიას დედის

თინათინ ნიჭურაძის

გარდაცვალების გამო.

იორამ ნიკოლეიშვილი მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ფეხბურთელისა და მწვრთნელის, სამტრედიის “სამტრედიას” ყოფილი მთავარი მწვრთნელის, შესანიშნავი ადამიანის

ჯონი ჯანაშიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ბატონ მიხეილ ნიკოლოზიანის ხსოვნას

გარდაიცვალა კიდევ ერთი “წაი-გრუზიელი”... ერთ-ერთი ხანდაზმული, ნახევარსაუკუნოვანი სტაჟის მქონე საქმიან სამტრედიის ექსპერიმენტული ქარხნის დეპარტამენტი, მალაქალიფიციური წამყვანი სპეციალისტი ელექტრობის დარგში, რომელმაც იმუშავა ქარხნის არსებობის ბოლო წლებამდე. გახლდათ უადრესად პატიოსანი ადამიანი, კეთილსინდისიერი, პასუხისმგებელიანი მუშაკი. ბატონი მიხეილ იყო რუსთაველის ქუჩის №2-ში მდებარე ქარხნის კორპუსის ერთ-ერთი პირველი მობინადრე და აქ დაასრულა ცხოვრების ნახევარი საუკუნე. იყო სანდო კეთილი, დახარბილი, უნაგარო მეზობელი, მეგობარი, თანამშრომელი და თავისი მრავალრიცხოვანი სანათესავის მოსიყვარულე წევრი. ბატონმა მიხეილმა და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ლიანამ აღზარდეს ოთხი შესანიშნავი მოსიყვარულე შვილი. პეკო უამრავი შვილიშვილი და შვილთაშვილი, რომელთა აღზრდასაც შეავლეს მზრუნველი ხელი და მეტიც, მათ ოჯახში პოულობდნენ სიბოხსა და სიყვარულს სამეზობლოს პატარები, ჩვენი შვილების და შვილიშვილების ჩათვლით. ნათელაში ამყოფოს უფალმა მათი სულები, მათ მონაგარს კი ვუსურვებთ უღრუბლო ცას, ჯანმრთელობას და წარმატებებს. **მამაბ არჩხაძე, ლიანა ჯანაშია ოჯახით**

ქალბატონი ზაირა ბრიგოლია – ძირძველი სამტრედიელი

ძირძველი სამტრედიელი, ქალი სინდისი, ღირსება, ჩვენი ქალაქის მეხობე, მასზე სიტყვის თქმა მინდება. შესატყვისი რამ მოქებნი, სათქმელადაც კი ძნელია, ის დეპარტამენტი ქალია, მისი ცხოვრება გრძელია. სპეტაკი, სამართლიანი, სამტრედიისთვის დამწვარი, სათნოებით არს მოხილი, დედა გულით მართალი. მამულის სულით გამთბარო, გადააბიჯეთ ბევრ ზღუდეს, დე, ამაგრებდეთ კვლავ დიდხანს გრიგოლიების ძველ ფუძეს.



ეს დეკსი, რომელიც ქალბატონ ზაირა ბრიგოლიას მიუძღვნენ, 2020 წლის 24 აგვისტოს დაეწერა და აღრესატს სტელეფონო კავშირის საშუალებით წავუთხოვე. ძნელია, გადმოსცე ის ემოცია, სიხარული, რაც ქალბატონ ზაირას იმ წუთებში დაეუფლა. არ დამავიწყდება მისი უძვირფასესი ქალიშვილის, ნინო ტონიას სიტყვები: “ქალბატონო ნათელა, გამაღწეოთ გულწრფელი სურვილისთვის: “დე, ამაგრებდეთ კვლავ დიდხანს გრიგოლიების ძველ ფუძეს”.

დეკსების მოკრძალებული კრებული გამოცემისთანავე, ერთ-ერთი პირველი, გრიგოლიათა ფუძეზე გაიგზავნა. ტელეფონით მისი მადლიერებით სავე სიტყვები მოვისმინე. ის მოტყვილი იყო. გულდასაწყვეტია, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამიძმა და 88 წლის ასაკში უწუქრად განერიდა საწუთროს, გრიგოლიათა საგვარეულოს, ღირსეულ შვილებს, მშობლიურ ილორს, მამაპაპისეულ სახლს, რომელიც 157 წლისაა.

ქალბატონი ზაირა ჩემი თანასკილელი იყო. ის თავისი მოგონებებში წერს: “1942 წლამდე ვსწავლობდი ილორის საშუალო სკოლაში, მაგრამ იმის გამო, რომ საშუალო სკოლა დახურეს, სწავლა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის №24 საშუალო სკოლაში გააგრძელე და სამი წელი სხელიდან 6 კილომეტრის დაშორებით მიხლებოდა სკოლაში სიარული. მაგრამ ეს გახატორი ღირდა იმდ, რომ მენახა და გამეგლო კიდევ ერთი შესანიშნავი სკოლა – “მუშანას სკოლა”. მან წარჩინებით, ოქროს მედალზე დაამთავრა აღნიშნული სკოლა, 1957 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ქალბატონი ზაირა მუშაობდა რაიონის სახალხო სასამართლოში, 1960-1993 წლებში სამტრედიის საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციის მდიანად, არჩეული იყო საქალაქო საბჭოს მრავალი მოწვევის დეპუტატად. აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, იყო ქალთა რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. ეროვნული ხელისუფლების დროს არჩეული იყო საქალაქო საბჭოს დეპუტატად და მუშაობდა აპარატის ხელმძღვანელად. ის იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოცხადებული პიონდა მადლობა და დაჯილდოებული იყო მედლით.

ქალბატონი ზაირა გრიგოლიასა და ბატონი ბადრი ტონიას ოჯახი გამორჩეული იყო მადალი კულტურით, იმერული ტრადიციებით, განათლებით, ინტელექტით, მშობლიური კუთხისადმი უსაზღვრო სიყვარულით. ამ მაგალითზე აღიზარდნენ შვილები – ნინო და გიორგი ტონიები, რომლებიც საზოგადოებაში ასევე უდიდესი განათლებითა და კულტურით გამოირჩევიან. დარწმუნებული ვარ, ისინი მშობლების მიერ ანთებულ კერას კიდევ უფრო გააღვივებენ და არ მოაკლებენ სიბოხს გრიგოლიათა საგვარეულოს ამ ძირძველ ფუძეს.

არაერთხელ მითქვამს და ახლაც ხმამაღლა ვაცხადებ: ის, რაც ქალბატონმა ზაირა გრიგოლიამ სამტრედიის ენციკლოპედიაზე მუშაობის დღეებში გააკეთა, იშვიათად რომ ვინმემ შეძლოს. მან გულდასმით შეისწავლა სოფლის, ილორის ისტორია, ასევე იქ მცხოვრები ძირძველი გვარების წარმომავლობა, ამ სოფელში მათი დასახლების მიზეზები და პირობები, გააცოცხლა გრიგოლიათა ძველი საგვარეულო. ეს ფასდაუდებელი საქმეა. ამას მომავალი შეაფასებს.

სამტრედიელი მკითხველი მალე იხილავს ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის 24-ე საშუალო, ამჟამად მე-12 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა მოგონებების კრებულს, სადაც ქალბატონი ზაირას მოგონებებიც გააცოცხლებს ამ სკოლის კედლებს და 50-იან წლებში იქ მოღვაწე კვლეველებს.

განათლება, ინტელექტი დახურულ სივრცეს ვერ ეგუება. ასეა ამ შემთხვევაშიც. ქალბატონი ზაირა გრიგოლიასა და ბადრი ტონიას თანაცხოვრება ნიმუშია ერთგულების, ოჯახური სიმტკიცის, ახლის ძიების, საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიური მოღვაწეობის და შვილების მადლაკადმიურ დონეზე აღზრდის. სამტრედიელთა მესხიერება სათუთად შემოინახავს კეთილშობილი, ერუდირებული, პატრიოტი პიროვნებების ნაღვაწს. უფალმა გაანათლოს მათი სპეტაკი სული!

ნათელა ბელიევიძი

ბატონი დემურ ღაღანიძე

ჩვენი ღირსეული თანამემამულე

ძალიან მტკივნეულად აღვიქვი ჩვენი ღირსეული თანამემამულის, საქართველოს ზიზნის აკადემიის აკადემიკოსის, სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე, არაორდინალური, პირდაპირობით და პრინციპულით გამორჩეული პიროვნების, ბატონი დემურ ღაღანიძის გარდაცვალება. ის, როგორც სამტრედიის ენციკლოპედიის ერთ-ერთი შემქმნელი და მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, 2010 წლის დეკემბერში გაიცინა. მხურვალედ მივხალმეთ სამტრედიის ენციკლოპედიის შექმნის იდეას, შემდგომში მისი მთავარი რედაქტორის, ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძის გულმხურვალე ინიციატივას და სამტრედიას ამ საქმის კოორდინატორის, ბატონი დემურ ღაღანიძის სტუმრობას. უადრესად დატვირთული დღის რეჟიმში გვეკონდა, მაგრამ სამტრედიის, მშობლიური მიწისა და ხალხის სიყვარულით კეთდებოდა ყოველივე.

ადამიანური ურთიერთობები თავად აულენს ადამიანს, მის ხასიათს, განათლებას, ინტელექტს. ამ მხრივ ბატონი დემური სამაგალითო იყო. ენციკლოპედიის მასალებზე მომუშავე პირთათვის როცა ცნობილი ვახდა მისი მძიმე წარსული (ის თბილისში გაიზარდა, მამა მორე მსოფლიო ომში დაიღუპა, 3 წლისას დედა ტრაგიკულად დაეღუპა), მამიდას მზრუნველობით გაიზარდა, ნიჭიერმა, შრომისმოყვარე ახალგაზრდად გზა თავად გაიკაფა, შექმნა ღირსეული ოჯახი და თავისი მოღვაწეობის სარბილზე დიდ წარმატებებს მიაღწია. ბუნებრივია, მისდამი პატივისცემა კიდევ უფრო გაიზარდა. 2011 წლის ზაფხულში საშუალება მომეცა დედაქალაქში მივლინებით გაემგზავრებულეიყო და სარედაქციო კოლეგიის წევრებთან ერთად (დემურ ღაღანიძე, თამაზ იმედაძე, გიორგი ხაზარაძე, თამაზ დანელია) შემუშავა ენციკლოპედიის საბოლოო ვარიანტზე. ეს იყო უდიდესი პასუხისმგებლობა. ბატონმა დემურმა არაერთი წინადადება გაიზიარა და ფაქტობრივად შეცდომებისაგან დაიცვა ენციკლოპედია. ეს იყო დაუღალავი, ერთუზიანობით აღსავსე დღეები. ბატონი ალექსანდრე კუჭუხიძე ჩქარობდა... ფაქტობრივად, 8 თვეში მომზადდა 866 გვერდიანი საენციკლოპედიო მასალა, რომელიც ხარვეზებს ვერ ასცდა. გული მწყდება, რომ ბატონმა დემურ ღაღანიძემ გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” ფურცლებზე ამ კუთხით თავისი პოზიციის დაფიქსირება ვერ მოახწრო.

დასანანია, რომ ღაღანიძეების ოჯახმა დაკარგა ღირსეული თავკაცი, მეუღლე, მამა და ბაბუა, სოფელ დანირმა და დანირლებმა მისი გაზრდილი, მასზე უზომოდ შეყვარებული შვილი, მშობლიურმა სამტრედიამ და სრულიად საქართველომ – საამაყო მამულიშვილი, რომელიც ათეული წლების მანძილზე ნაყოფიერად ეწეოდა კვლევათა და სამეცნიერო საქმიანობას, ჰიდაობა სამბოში იყო თბილისის ნემსიონი. XX საუკუნის 60-იან წლებში მიიწვიეს კინოსტუდია ქართულ ფილმში დიდებულ ქართული ეპოსის “ახესალომ და ვთერის” გადაღებაზე – ახესალომის როლზე, რომლის გადაღება, როგორც თავად გვიამბო, საქართველოში შექმნილი უნიანსური პრობლემების გამო შეწყდა. ის გახლდათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე. გამიხნილი საზრიანობისა და მხედრული მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის ორდენით.

უფალმა გაანათლოს მრავალმხრივი ნიჭით გამორჩეული ღირსეული მამულიშვილის, ბატონ დემურ ღაღანიძის სული!
ნათელა ბელიევიძი

მინიატურები

სულ მეზმანება ის ძველი ეზო და შუბლზე მთვარე დედის ხალივით, გადათოვლილი ოდა და იქვე ბაბუ მდგომარე ჩიჩილაკივით...

როცა ოთახში შემოვიდა სულგალეული მოხუცი მამა, მაგრამ ოთახი, ჩვენი ოთახი აივსო მამით.

დედის ღოცვა

შვილო, აისხი სიკეთე ქველის, დედის გულიდან გადმოწერილი, მე ძუძუსავსე რძე მომაქვს ციდან ღმერთის თავლაში გამოწველილი.

ზამთარმა გაზაფხულთან ომის შემდეგ ტყემლის ტოტებზე თეთრი დროშები გამოაფინა...

მამაჩემი, რა ხანია, საფლაგში არა წევს, თითქოს საფლაგებს ჩემს ბოსტნამდე გამოჰპარვია, და ფეხებს უთბობს ყინვით გათოშილ პაწია ნერგებს.

იები ლექსში ისე მოსჩანან, თითქო სამელნე წაქცეოდეს ფურცელზე პოეტს...

შემიყვარდა ლურჯი ია, ამოზრდილი ნამში, თუკი არის გათხოვილი, ძმად მიმიღოს მაშინ...


ღირიჟორივით დგას მწვანე ბუტკო და მტვრიანების ყვითელ კვარტეტის ახმოვანებას ეცდება ჩუმად ცისფერ შროშანის გაშლის ბალეტით... თუ შეიძლება მეც რომ გეცეკვოთ? წამლად შეგერგოთ ჩემი ნაცქერი, მომეცით ნება, მოგხვიოთ ხელი, მსურს ვიყო თქვენი მზის კავალერი.

და მოეწვიტა დედას მუცლიდან პატარა დაი, ჩემი ნაღველი, ეზოში იამ რომ დამიძახა როგორ იცოდა ჩემი სახელი? იქნებ იპოვა დედამ ფესვსშორის, და მიწის გულში იად ჩაირგო, მერე კი თითქო ჩემსკენ ანიშნა, აი ესააო, შენი ძამიკო. ველარ ვიპოვე, ხმა კი ისმოდა, არ ვიყავ არსად მისი მნახველი, მე ია ვარო, ნუ გეწყინება, დედამ მასწავლა შენი სახელი...

ერმილე თოფურია



ირაკლის და მარიამს ვულოცავთ ბაბუნდინობას



ღავით ბენარ მორბოშიას ვულოცავთ დაბადების დღეს

რედაქციის მისამართი:
 სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
 ტელ: 599 02 41 11

საბრძოლის მაცნე

დირექტორი	ბექან ბოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჯალიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან ბაბუნაშვილი
კომპიუტერული გრაფიკა	მეგა პაპავა